



ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველო

2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო
ანგარიში



18 ოქტომბერი, 2018

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო: გორგასალის 24ა, თბილისი, 0114, საქართველო. ტელ.:
(995 32) 240 58 04; ogpgeorgia@justice.gov.ge; www.justice.gov.ge

სარჩევი

შესავალი.....	2
ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი	2
საჯარო კონსულტაციები	3
საერთაშორისო კვლევები და ინდექსები	4
ღია მმართველობის პარტნიორობის დასაშვებობის კრიტერიუმები.....	5
სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება.....	5
სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.....	7
გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება.....	7
გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება.....	14
გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა.....	22
გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა	27
მუნიციპალიტეტების ორგანოები.....	35
გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება.....	35
შემაჯამებელი მონაცემები	43

შესავალი

ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) შემუშავებულია ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) მიერ, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (შემდგომში - ფორუმი) ფარგლებში. სამდივნომ სამუშაო პროცესი ფორუმის წევრ საჯარო უწყებებთან და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დაიწყო. მათი მხრიდან სამდივნოს წარედგინა წინადადებები და იდეები იმ სამომავლო ვალდებულებების შესახებ, რომლებიც, მათი აზრით, ახალი სამოქმედო გეგმის ნაწილი უნდა გამხდარიყო. გარდა ამისა, სამდივნომ ინდივიდუალური შეხვედრების რეჟიმში იმუშავა იმ უწყებებთან, რომლებიც მანამდე ღია მმართველობა საქართველოს საქმიანობაში არ ყოფილან ჩართულნი. ამის შედეგად, სამდივნომ მიიღო ფორუმის ძველი და პოტენციური წევრების მიერ წარმოდგენილი ვალდებულებების ფართო ნუსხა.

სამდივნოს თავიანთი რეკომენდაციები წარუდგინეს, აგრეთვე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. მათი იდეების უმეტესობა ვალდებულებების სახით აისახა გეგმაში. კონსულტაციების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა და სამდივნოს მხარს უჭერდა USAID-ის პროექტი „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ (GGI). საკონსულტაციო შეხვედრების შემდეგ პროექტმა სამდივნოს რეკომენდაციები წარუდგინა, რომლებიც შემდგომში სამოქმედო გეგმაში აისახა. სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობამ №539 დადგენილებით 2016 წლის 9 დეკემბერს დაამტკიცა.

ღია მმართველობა საქართველოს რიგით მესამე სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია **24 პასუხისმგებელი უწყების 24 ვალდებულება**, რომლებიც შესაბამისობაშია OGP-ის პრინციპებთან – გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა ჩართულობა, ტექნოლოგია და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები პასუხობს OGP-ის ხუთივე **გამოწვევას**: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი

ფორუმი ღია მმართველობა საქართველოს მუდმივმოქმედი ეროვნული კოორდინაციის მექანიზმია. ფორუმის მიზნები, საქმიანობის წესი და სხვა პროცედურული საკითხები გაწერილია ფორუმის სახელმძღვანელო წესებში,¹ რომლებიც ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ

¹ ფორუმის სახელმძღვანელო წესები ხელმისაწვდომია [აქ](#).

ფორუმის წევრებთან ერთად შეიმუშავა. ფორუმის შემადგენლობა ეტაპობრივად იზრდება პასუხისმგებელი უწყებებისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების უკეთესი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით. მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით ფორუმს 17 ახალი წევრი შემოემატა.

ფორუმს ხელმძღვანელობენ თანათავმჯდომარეები, რომელთაგან ერთი საქართველოს მთავრობას, ხოლო, მეორე არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად წარუდგენენ ფორუმს თავიანთ კანდიდატს, რომელსაც ირჩევს ფორუმი. ფორუმის ფუნქციებს შორისაა სამოქმედო გეგმის მომზადების ხელშეწყობა, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა და ჩატარება, სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი და ხელშეწყობა, ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ახალი მოდელით ფორუმი სრულად ეხმიანება ამ თემაზე ღია მმართველობა საქართველოს შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმის (Independent Reporting Mechanism - IRM) რეკომენდაციებს. ფორუმი რეგულარულად იკრიბება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს.

მესამე სამოქმედო გეგმის შემუშავებას დაეთმო ფორუმის სამი შეხვედრა, მათ შორის, ერთი გაფართოებული მრგვალი მაგიდა, აგრეთვე, ინდივიდუალური შეხვედრები და ინტენსიური კონსულტაციები სამდივნოს, პასუხისმგებელ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი ფორუმმა თავის გაფართოებულ სხდომაზე 2016 წლის 24 ივნისს განიხილა.

საჯარო კონსულტაციები

OGP-ის რეგულაციებით განსაზღვრულია, რომ სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს ფართო საზოგადოებასთან კონსულტაციის გზით. OGP-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო წესების 2 შესაბამისად, ფორუმმა, არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების საფუძველზე და მათი უშუალო ჩართულობით, საქართველოს მასშტაბით ჩასატარებელი საჯარო კონსულტაციების გეგმა შეიმუშავა: დეტალურად გაიწერა შეხვედრების მიზანი, ფარგლები, შეხვედრების გამართვაზე პასუხისმგებელი არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

საჯარო კონსულტაციები, „USAID“-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებისა და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ საზოგადოებრივი ცენტრების მხარდაჭერით, საქართველოს 15 ქალაქში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით გამართულ 19 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 800-მდე დაინტერესებულმა პირმა. საჯარო კონსულტაციებში მუნიციპალიტეტების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული

² იხ. OGP-ის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო წესები, [Guidance for National OGP Dialogue](#).

მოქალაქეები მონაწილეობდნენ. საჯარო კონსულტაციებში საკუთარი წვლილი შეიტანა საქართველოს ადგილობრივმა მედიამ, როგორც შეხვედრებში მონაწილეობის მიღებით, ისე საჯარო კონსულტაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებით.

სამოქმედო გეგმაში შესული რამდენიმე ვალდებულება შერჩეულია საჯარო კონსულტაციების შედეგად. მათ შორისაა მუნიციპალიტეტების ვალდებულებები ბიუჯეტის შემუშავების ჩართულობითი პროცესის შესახებ, მუნიციპალიტეტებში პროცესების ღიაობისა და იუსტიციის სახლის შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის ადაპტირების შესახებ.

საერთაშორისო კვლევები და ინდექსები

ღია მმართველობის უზრუნველსაყოფად გატარებული ფუნდამენტური რეფორმების შედეგად დღეს საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. მიღწეულ წარმატებას არაერთი საერთაშორისო კვლევა და რეიტინგიც ადასტურებს.

ცხრილი 1: საქართველოს პროგრესის შეფასება საერთაშორისო კვლევების თანახმად

#	კვლევის დასახელება	წყარო	რეიტინგი
1	ღია მმართველობის ინდექსი, 2015	მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი	მაქსიმალური 1 ქულიდან 0.61 ქულით: - პირველი ადგილი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში; - 29-ე პოზიცია მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის. ³
2	გამოხატვის თავისუფლება და ანგარიშვალდებულება, მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, 2014	მსოფლიო ბანკი	საქართველოს მაჩვენებელი 55.7%-ს უტოლდება - 1996-2014 წლებში გამოხატვის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების ასპექტში გაუმჯობესების საუკეთესო მაჩვენებელი მეზობელ ქვეყნებს შორის (19.7%-იანი ზრდის მაჩვენებლით). ⁴
3	ეფექტური მმართველობა, მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, 2014	მსოფლიო ბანკი	- საქართველოს მაჩვენებელი 71.6%-ს უტოლდება: • ეფექტური მმართველობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობა, რასაც საქართველოში იუსტიციის სახლები და იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები უზრუნველყოფენ; 1996 წლის შემდეგ საქართველოს ეფექტური მმართველობის თვალსაზრისით აქვს 43.9%-იანი პროგრესის ზრდა, რომლის მიხედვითაც მსოფლიო მასშტაბით პირველ პოზიციას იკავებს. ⁵
4	კანონის უზენაესობა, მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, 2014	მსოფლიო ბანკი	- საქართველოს მაჩვენებელი 64.4%-ს უტოლდება“ 1996 წლის შემდეგ საქართველოს კანონის უზენაესობის ასპექტში, პროგრესის 56.3%-იანი ზრდა აქვს, რის შედეგადაც, მსოფლიო მასშტაბით მეორე პოზიციას იკავებს. ⁶

³ ღია მმართველობის ინდექსი, 2015 წ. მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი.

⁴ მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, 2014 წელი, მსოფლიო ბანკი.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

5	კორუფციის კონტროლი, მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები, 2014	მსოფლიო ბანკი	- საქართველოს მაჩვენებელი 75.5%-ს უტოლდება: 1996 წლის შემდეგ საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით პროგრესის 70.6%-იანი ზრდა აქვს, რითაც მსოფლიო მასშტაბით პირველ პოზიციას იკავებს. ⁷
6	ღია ბიუჯეტის ინდექსი, 2015	ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა	- მე-16 პოზიცია მსოფლიოს 100 ქვეყანას შორის 66 ქულით. ⁸ რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა არსებითად საკმარის ინფორმაციას აწოდებს მოქალაქეს ბიუჯეტის შესახებ
7	კანონის უზენაესობის ინდექსი, 2015	მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი	- პირველი ადგილი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში; - 34-ე პოზიცია მსოფლიოს 113 ქვეყანას შორის ⁹

ღია მმართველობის პარტნიორობის დასაშვებობის კრიტერიუმები

OGP-ის დასაშვებობის კრიტერიუმების თანახმად, საქართველოს მაჩვენებელი მაქსიმალური 16 ქულიდან 15 ერთეულს უტოლდება.¹⁰

ცხრილი 2: საქართველოს შეფასება ღია მმართველობის პარტნიორობის დასაშვებობის კრიტერიუმების მიხედვით

OGP-ის დასაშვებობის კრიტერიუმები		ინფორმაცია	ქულა
ბიუჯეტის გამჭვირვალობა		4	4
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა		კანონმდებლობა	4
ქონებრივი დეკლარაციები	ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობის სამართლებრივი რეგულირება	✓	4
	ქონებრივი დეკლარაციების ხელმისაწვდომობა	✓	
სამოქალაქო თავისუფლებები		5.59	3
საქართველოს ჯამური ქულა			15
ქულების მაქსიმალური რაოდენობა			16

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

ღია მმართველობა საქართველოს მე-2 ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ, სამდივნომ, OGP-ის რეგულაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია შეიმუშავა.

⁷ იხ. სქოლიო N4.

⁸ ღია ბიუჯეტის ინდექსი 2015, ბიუჯეტის საერთაშორისო გამჭვირვალობა.

⁹ კანონის უზენაესობის ინდექსი 2015 წ. მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი.

¹⁰ ღია მმართველობის პარტნიორობა, დასაშვებობის კრიტერიუმები.

მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია მიზნად ისახავს შეაფასოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, როგორც ვალდებულებების შესრულება, ასევე ვალდებულებების განხორციელების შედეგად მიღწეული შედეგები.

ცხრილი 3: მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია

მონიტორინგი		
მექანიზმი	მონიტორინგის ცხრილის შევსება და სამდივნოში წარდგენა, სამოქალაქო საზოგადოების კომენტარები და სამდივნოს შეფასება	
ძირითადი ეტაპები	<ul style="list-style-type: none"> - პასუხისმგებელი უწყებების მიერ მონიტორინგის ცხრილის შევსება - სამდივნოს მიერ პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება და ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მიწოდება - არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კომენტარების მომზადება და სამდივნოსთვის წარდგენა - სამდივნოს მიერ მონიტორინგის შედეგების დამუშავება და ფორუმის სხდომაზე წარდგენა 	
სიხშირე	6 თვეში ერთხელ	
თვითშეფასება		
თვითშეფასების წყაროები	<ul style="list-style-type: none"> პასუხისმგებელი უწყებების მიერ მომზადებული ანგარიშები საქართველოს მაჩვენებელი OGP-ის დასაშვებობის კრიტერიუმების მიხედვით საერთაშორისო სარეიტინგო კვლევების მიმოხილვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები ინტერვიუები პასუხისმგებელ უწყებებთან (Key informant interviews) 	
მექანიზმი	<ul style="list-style-type: none"> - პასუხისმგებელი უწყებები წარადგენენ გეგმის შესრულების წერილობით ანგარიშს სამდივნოში. - სამდივნო ატარებს შეხვედრებს 24 პასუხისმგებელ უწყებასთან. - ანგარიშის პროექტი ეგზავნება ფორუმს კომენტარებისთვის. - ანგარიშის პროექტი განიხილება ფორუმის სხდომაზე (მრგვალ მაგიდაზე). - სამდივნო ამზადებს საბოლოო ანგარიშს და წარუდგენს ანტიკორუფციულ საბჭოსა და OGP სამდივნოს. 	
ძირითადი ეტაპები	<ul style="list-style-type: none"> - სამდივნოს მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და ფორუმისთვის მიწოდება - ფორუმის კომენტარების მიღება - ანგარიშის საჯარო კომენტარებისთვის განთავსება - სამდივნოს მიერ ანგარიშის დამუშავება და OGP სამდივნოსთვის წარდგენა 	
სიხშირე	სამოქმედო გეგმის მოქმედების მანძილზე ორჯერ, წელიწადში ერთხელ.	
მონიტორინგის და შეფასების კრიტერიუმები		
რეიტინგი	სრულად შესრულდა	ვალდებულებების შესასრულებლად დაგეგმილი ყველა განხორციელების ეტაპი სრულად შესრულდა.
	უმეტესწილად შესრულდა	ვალდებულებების შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ეტაპების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი.
	ნაწილობრივ შესრულდა	ვალდებულებების შესასრულებლად დაგეგმილი განხორციელების ეტაპების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი.
	არ შესრულდა	ვალდებულებების შესასრულებლად დაგეგმილი არც ერთი განხორციელების ეტაპი არ შესრულდა.
სტატუსი	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	
	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	
	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	
	განხორციელების პროცესი დასრულებულია	

სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში (ანგარიში) აფასებს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის შედეგად გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას **2018 წლის ივნისის მდგომარეობით**.

ანგარიში შემუშავებულია სამდივნოს მიერ გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ფორუმის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით გამართული განხილვების საფუძველზე. ანგარიშის სამუშაო ვერსია კომენტარებისთვის წარედგინა ფორუმს; დოკუმენტი ასევე გამოქვეყნდა საჯარო კომენტარებისთვის.¹¹

გამოწვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

ვალდებულება 1: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებთან იუსტიციის სახლის სერვისების ადაპტირება	
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>2015 წლის ნოემბერში იუსტიციის სახლს, „მომხმარებლის ხმის“ გამოყენებით, წერილით მიმართა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) მოქალაქემ. წერილის ავტორი აღწერდა სირთულეებს, რომლებიც შშმ პირებს იუსტიციის სახლში ექმნებათ. იუსტიციის სახლმა წერილის ავტორის შემოთავაზება მიიღო და სამოქმედო გეგმის წინამდებარე ვალდებულებად ჩამოაყალიბა.</p> <p>ვალდებულების მიზანია, იუსტიციის სახლის ინფრასტრუქტურამ დააკმაყოფილოს ის სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია შშმ პირების შეუფერხებლად გადაადგილებისა და მათ მიერ მომსახურების მიღებისათვის. ვალდებულების თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> - თბილისის იუსტიციის სახლის მომსახურების დარბაზში უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისთვის შეიქმნება სპეციალური ნავიგაციის სისტემა; - დატრენინგდება თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების თანამშრომლები.
წამყვანი დაწესებულება	სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება
	სამოქალაქო/კერძო სექტორი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სერვისების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი	შშმ პირების მიერ იუსტიციის სახლში შეუფერხებლად გადაადგილებისა და მომსახურების დამოუკიდებლად მიღების უზრუნველყოფა
ინდიკატორი	სამივე ქალაქში იუსტიციის სახლში არსებული გარემო და სერვისები სრულად ადაპტირებულია შშმ პირების მოთხოვნებთან
მიღწეული შედეგები	იუსტიციის სახლის თბილისის (400 თანამშრომელი), ბათუმისა (52 თანამშრომელი) და ქუთაისის (47 თანამშრომელი) პირველი ხაზის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები შშმ პირებთან კომუნიკაციის მიმართულებით. თბილისის იუსტიციის სახლში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: იუსტიციის სახლის გარე და შიდა ტერიტორიაზე დამონტაჟდა ტაქტილური ბილიკები, შენობის შესასვლელში განთავსდა ტაქტილური რუკა (სანავიგაციო დაფა), შიდა და გარე პერიმეტრზე

¹¹ ანგარიში გამოქვეყნდა კომენტარებისთვის - <http://justice.gov.ge/Ministry/Index/1504>.

	<p>დაიდაგა მიმართულების მანიშნებელი სადგამები ბრაილის წარწერით, ასევე, იუსტიციის სახლის თითოეული კაბინეტის შესასვლელ კარებზე დამაგრდა ოთახის მანიშნებლები ბრაილის წარწერით, მანიშნებლები განთავსდა ასევე კიბეებსა და მინებზე; საჯარო რეესტრის საქმიანობის მიმართულებით დამზადებული დოკუმენტების წასაკითხად იუსტიციის სახლში დამონტაჟდა პრინტერი - ბრაილის შრიფტით ბეჭდვის ფუნქციით.</p> <p>უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის ონლაინ სივრცეში ინფორმაციის უფრო მარტივად მიღების მიზნით, იუსტიციის სახლის ვებ-გვერდს დაემატა ხმოვანი, ვიზუალის კონტრასტის და ტექსტის ზომის გაზრდის ფუნქციები.</p> <p>ქუთაისის და ბათუმის იუსტიციის სახლისთვის შემუშავდა შპმ პირებისთვის ფილიალების ადაპტირების პროექტები.</p>				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	ოქტომბერი, 2019				
სამომავლო გეგმები	იუსტიციის სახლის ბათუმის და ქუთაისის ფილიალის ადაპტირება უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.				

ვალდებულება 2: ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის საინფორმაციო პორტალის დანერგვა

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - ჯანდაცვის სამინისტრო), მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის და ჯანდაცვის სფეროს გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის (E-Health) ფარგლებში შექმნის საინფორმაციო პორტალს.</p> <p>საინფორმაციო პორტალის მეშვეობით მოქალაქეებს მიეწოდებათ სანდო და სრულყოფილი ინფორმაცია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების, სამედიცინო მომსახურების, მომსახურების მიმწოდებლების (პროფესიული კვალიფიკაცია და ა.შ), სამედიცინო აღჭურვილობის, სისხლის ბანკის, საწოლთა ფონდის, მომხმარებლების, სამედიცინო პერსონალის და მათი სამუშაო ადგილების შესახებ. პორტალის მეშვეობით მოქალაქეს შეეძლება გადაამოწმოს თავისი დაზღვევის სტატუსი, გაიგოს თუ რა მომსახურება ეკუთვნის მას ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში. საინფორმაციო პორტალზე ასევე განთავსდება უახლესი ინფორმაცია ჯანდაცვის სისტემის მიმართულებით მიმდინარე რეფორმების და მათი მონიტორინგის შედეგების შესახებ.</p>				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“; სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სერვისების გაუმჯობესება				
მთავარი მიზანი	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება				
ინდიკატორი	ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის (E-Health) ფარგლებში საინფორმაციო პორტალი ამოქმედებულია და მოიცავს მოდულებს: სამედიცინო დაწესებულებების შესახებ; სამედიცინო პერსონალის შესახებ; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ; საინფორმაციო პორტალით მოსარგებლეთა წილი გაზრდილია 50%-ით; 2017 წელს გამოქვეყნებული				

	<p>შინამეურნეობის კვლევა აჩვენებს, რომ ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების დონე გაზრდილია 20%-ით.</p>										
<p>მიღწეული შედეგები</p>	<p>ვალდებულების შესრულება დაევა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შეიქმნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის N01-275/ო ბრძანებით. პორტალის შექმნის მიზნით, 2016 წლის ნოემბერში დაიწყო საჯარო კონსულტაციები სამინისტროს დაქვემდებარებულ ინსტიტუციებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ და პაციენტის ასოციაციებთან.</p> <p>ამ ეტაპზე დასრულებულია არსებული სიტუაციის შეფასება, რომელიც ანალიტიკური დოკუმენტის სახით მომზადდა. 2017 წლის ექტემბერში მომზადდა საინფორმაციო პორტალის კონცეფცია და ტექნიკური დავალება.</p> <p>საინფორმაციო პორტალის შექმნამდე გაუმჯობესდა ინფორმაციისა და სერვისების მიწოდების არსებული არხები. ამჟამად მოქალაქის პორტალზე - „MY.GOV.GE“ ხელმისაწვდომია სოციალური დაცვის პერსონიფიცირებული სერვისები. მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების მოდულის გამართვასა და პილოტირებაზე. მოქალაქეს ასევე შეუძლია www.ssa.gov.ge-ზე გადაამოწმოს თავისი სამედიცინო დაზღვევის სტატუსი და გაიგოს თუ რა მომსახურება ეკუთვნის მას ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. სამინისტროს ვებ გვერდზე - www.moh.gov.ge ყოველდღიურად ახლდება ინფორმაცია ჯანდაცვის სისტემის მიმართულელებით მიმდინარე რეფორმების შესახებ.</p> <p>2017 წლის დეკემბრიდან დაიწყო მუშაობა საინფორმაციო პორტალის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში მომზადდა ინფორმაცია, რომელიც განთავსდა საინფორმაციო პორტალზე. აპრილიდან ამოქმედდა პორტალი და ნებისმიერ პირს, დარეგისტრირების შემდეგ, შეუძლია პერსონიფიცირებული ინფორმაციის მოძიება.</p> <p><i>შენიშვნა: ვალდებულებაზე მუშაობა დასრულდა 2018 წლის აპრილში.</i></p>										
<p>შესრულების შეფასება</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>სრულად შესრულდა</th> <th>უმეტესწილად შესრულდა</th> <th>ნაწილობრივ შესრულდა</th> <th>არ შესრულდა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ვალდებულების შეფასება</td> <td style="text-align: center;">x</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	ვალდებულების შეფასება	x			
	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა							
ვალდებულების შეფასება	x										
<p>დასრულების თარიღი</p>	<p>აპრილი, 2018</p>										
<p>სამომავლო გეგმები</p>	<p>საინფორმაციო პორტალის ადმინისტრირება და ინფორმაციის განახლება.</p>										

<p>ვალდებულება 3: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ლიცენზიების ელექტრონული სისტემის დანერგვა</p>	
<p>ვალდებულების მოკლე აღწერა</p>	<p>აღნიშნული ვალდებულებით გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ლიცენზიების გაცემა და სხვა ფასიანი მომსახურების გაწევა სრულად ელექტრონიზებული გახდება. ელ. სისტემის მეშვეობით განხორციელდება ლიცენზირების სფეროში არსებული მასალის ავტომატური ელექტრონიზაცია. ამის შედეგად, სააგენტო შეძლებს ამ სფეროში არსებული ინფორმაციის დახარისხებას და ელექტრონული სტატისტიკის (ბაზის) წარმოებას. სისტემის საშუალებით გაიზრდება დამუშავებული ინფორმაციის გაცემის სისწრაფე და ხარისხი. გარდა ამისა, მომხმარებელს ექნება გამარტივებული წვდომა ლიცენზირების სფეროში არსებულ ნებისმიერ საჯარო ინფორმაციასთან (სტატისტიკა, რესურსების ონლაინ რუკა, გზამკვლევი და ა.შ) და შესაძლებელი გახდება ლიცენზიანტების ურთიერთდაკავშირება მათ შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით.</p>
<p>წამყვანი დაწესებულება</p>	<p>სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო</p>

	<p>2017 წლის დეკემბერში „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი ბუნებრივი რესურსების-სასარგებლო წიაღისეულის მართვის მიმართულებით, გადაეცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად კი დაფუძნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტო. შესაბამისად, დღეის დემოგრაფიით დაწესებულება არის სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო.</p>
<p>პარტნიორები</p>	<p>საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი</p>
<p>შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან</p>	<p>საჯარო სერვისების გაუმჯობესება</p>
<p>მთავარი მიზანი</p>	<ul style="list-style-type: none"> - მომსახურების გაუმჯობესება - მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გამარტივება; - კორუფციის რისკების თავიდან აცილება; - ადამიანური რესურსის გამოყენების ოპტიმიზაცია; - მომსახურებებისთვის დადგენილი პროცესების მეტი გამჭვირვალობა
<p>ინდიკატორი</p>	<p>2017 წლის ბოლოს ლიცენზიებისა და სხვა ფასიანი მომსახურებების ელექტრონული სისტემა დანერგილია გარემოს ეროვნულ სააგენტოში.</p>
<p>მიღწეული შედეგები</p>	<p>განხორციელდა ვალდებულების პირველი ეტაპის სამუშაოები: ლიცენზირების ბიზნეს პროცესების ზოგადი აღწერა დასრულებულია, კერძოდ, დადგინდა მომხმარებლის ტიპები, ფორმები, სტატისტიკური ფორმებისა და ათვისების გეგმების ბიზნეს პროცესები. შემუშავდა სივრცეებისა და მათი შესაბამისი ინტერფეისების პროექტი: ადმინისტრაციული სივრცის ინტერფეისი, სააგენტოს თანამშრომლებისა და კლიენტის ინტერფეისი.</p> <p>პროგრამის პირველ ეტაპზე, მუშაობის პროცესში, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის გათვალისწინებაც იძლევა შესაძლებლობას პროგრამა იყოს მეტად მოქნილი და მრავალ ფუნქციური, აქედან გამომდინარე შესაბამის უწყებებთან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამართული ინტენსიური კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით ორი ძირითადი გამოწვევაა: 1. ვინაიდან სახელმწიფოს მიერ უახლოეს მომავალში დაგეგმილია მსხვილი კონტრაქტის გაფორმება წიაღის რეფორმის მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალა აღნიშნული პროგრამა სრულად პასუხობდეს რეფორმის მოთხოვნებს, რაც ითვალისწინებს წიაღის მართვისას ელექტრონული მოდულის მაქსიმალურ გაძლიერებას; 2. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან კონსულტაციით მიზანშეწონილად ჩაითვალა ასევე, პროგრამაში ინტეგრირდეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ლიცენზირების პროცესთან დაკავშირებული ფუნქციები, რადგან სწორედ ამ უწყებას ეკისრება ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, ასევე ნებართვებისა და ლიცენზირების პროცესების კონტროლი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები რათა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ქონდეს ინტეგრირებული ფუნქციების ელექტრონულად განხორციელების შესაძლებლობა.</p> <p>ლიცენზირების პროცესის ელექტრონული პროგრამის ამოქმედების მიზნით და დღეის მდგომარეობით უკვე არსებობს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე ჩაშენებული ვები nam.rs.ge, სადაც ლიცენზიის მაძიებელს ოფისიდან გაუსვლელოდ შეუძლია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით აუქციონის გამოცხადების თაობაზე განაცხადის რეგისტრაცია, ასევე ლიცენზიასთან დაკავშირებული ყველა პროცესის, მათ შორის ათვისების გეგმის, სტატისტიკური ფორმების ელექტრონულად წარმოდგენა სააგენტოში. საიტიდან ხდება ასევე</p>

	ლიცენზიასთან დაკავშირებით განმცხადებლის მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმირება ნებისმიერ მიმდინარე სიახლეზე. აღნიშნული ელექტრონული საიტი ლიცენზიის გამცემი ორგანოსთვის წარმოადგენს მუდმივად განახლებად ბაზას და ინფორმაციის წყაროს, სადაც მოთავსებულია სრული ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელი სუბიექტებისა თუ კომპანიების, სალიცენზიო ტერიტორიის ადგილმდებარეობის (რაიონი, დასახლებული პუნქტი), სასურველი რესურსის დასახელების, რაოდენობის, ლიცენზიის მოქმედების ვადის, აუქციონის საწყისი ფასის და ზომის ერთეულის შესახებ. მომხმარებელი კი, თავისი უნიკალური კოდის საშუალებით ნებისმიერი წერტილიდან აკონტროლებს ინფორმაციას საკუთარ განაცხადზე აღნიშნული პორტალი ამოქმედდა 2018 წლის 20 თებერვლიდან.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2019				
სამომავლო გეგმები	მუშაობის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების გამო, ვალდებულების განხორციელების ყველა ეტაპის შესრულების ვადა განხორციელება გარკვეული პერიოდით, რათა ამ ეტაპზე შესრულებულმა სამუშაომ ზუსტად უპასუხოს პროგრამის ახალ მოთხოვნებს.				

ვალდებულება 4: ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემების ვებპორტალის შექმნა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	მოცემული ვალდებულების ფარგლებში ენერგეტიკის სამინისტრო შექმნის საჯაროდ ხელმისაწვდომ ელექტრონულ სივრცეს, სადაც განთავსდება პერიოდულად განახლებადი ინფორმაცია სივრცითი მონაცემების შესახებ. პორტალის მეშვეობით, დაინტერესებული პირი დისტანციურად (როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთიდან) მიიღებს საჭირო ინფორმაციას ენერგეტიკული ობიექტების ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს ინვესტორებს, შეაფასონ სასურველი პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა, როგორც საწყის, ისე ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე.
წამყვანი დაწესებულება	სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო შეუერთდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სერვისების გაუმჯობესება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა
მთავარი მიზანი	<ul style="list-style-type: none"> - გეოინფორმაციული სისტემების განვითარება; - დაინტერესებული პირებისთვის ენერგეტიკული ობიექტების ადგილმდებარეობისა და სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის მოპოვების გამარტივება; - ახალი და მიმდინარე პროექტების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა
ინდიკატორი	ვებპორტალი შექმნილია და მასზე განთავსებულია ენერგეტიკის დარგობრივი სივრცითი (გეოგრაფიული) მონაცემები
მიღწეული შედეგები	ვალდებულების განხორციელების საწყისი კომპონენტია სპეციალისტების მომზადება იმ საქმიანობისთვის, რაც საჭიროა ენერგეტიკის სამინისტროს მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული სივრცის შესაქმნელად. კერძოდ, საჭიროა ადამიანური რესურსი, რომელიც შეძლებს ენერგეტიკის დარგში სხვადასხვა სუბიექტების მიერ შექმნილი მასალის (გეოგრაფიული მონაცემების) ერთად შეკრებას, სტრუქტურირებას და ურთიერთ შესაბამისობაში მოყვანას. სწორედ ამ მიზნით, სამინისტრომ მოამზადა გეოინფორმაციული სისტემების სპეციალისტები და

	სამინისტროს სხვა თანამშრომლები სხვადასხვა ტიპის სასწავლო ღონისძიებების მეშვეობით.				
	ვალდებულება შეგვიძლია ჩავთვალოთ ნაწილობრივ შესრულებულად, რადგან აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება და განთავსება ხდებოდა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ვებგვერდზე. სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო შეუერთდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, თუმცა არა პორტალის საშუალებით.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2017				
სამომავლო გეგმები					

ვალდებულება 5: ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>ინოვაციების სააგენტო გეგმავს დედაქალაქში არსებული ინოვაციების ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკი) განვითარებას, ხოლო საქართველოს რეგიონების მასშტაბით ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნას.</p> <p>ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება ითვალისწინებს: 1. დედაქალაქში ინოვაციების არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებას; 2. დიდ ქალაქებში რეგიონალური ინოვაციების ჰაბების შექმნას; 3. ინოვაციების ცენტრების (ინოვაციების ცენტრები შეიქმნება არსებული ინფრასტრუქტურის (ბიბლიოთეკები, საგანმანათლებლო დაწესებულებების) ბაზაზე მუნიციპალიტეტის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათი უშუალო მონაწილეობით) შექმნას შემოგარენ სოფლებში; 4. რეგიონებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. აღნიშნული შედეგების გასაზომად შემუშავდება ბენეფიციარების აღრიცხვის სისტემა.</p>				
წამყვანი დაწესებულება	სსიპ - ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო - კვლევებისა და ინოვაციების საბჭო			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	მსოფლიო ბანკი			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან					
მთავარი მიზანი	ინოვაციურ საქმიანობაში ფიზიკური პირებისა და მეწარმეების მხარდაჭერა; ინოვაციური ფირმების ფორმირება; ქვეყანაში ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბება, მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლება და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნა				
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> - 2017 წლის ბოლოს გახსნილი 2 ტექნოპარკი და 13 ინოვაციების ცენტრი - დატრენინგებული 2000-მდე ბენეფიციარი - ინოვაციების ცენტრების 5 000-მდე ვიზიტორი - ინტერნეტზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა 2500 ბენეფიციარისთვის 				
მიღწეული შედეგები	<p>მიმდინარეობს სამუშაოები სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონების შესარჩევად, სადაც მოხდება ინოვაციების ცენტრების და ინოვაციები ჰაბების გახსნა.</p> <p>60-მდე მეწარმე გაიარა სასწავლო კურსი „როგორ შევქმნათ ვებსაიტი“ ბაღდათში. ასევე ჩატარდა ICT ტრენინგები შემდეგ რეგიონებში: სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი,</p>				

	<p>კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთში, სადაც ტრენინგი გაიარა 1000-მდე ბენეფიციარმა.</p> <p>ამასთან, 2018 წლის ივნისის მდგომარეობით, გახსნილია და ფუნქციონირებს ტექნოპარკი ზუგდიდში და ინოვაციების ცენტრები ხარაგაულში ჭოპორტსა და ბაღდადში. 2018 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით ზუგდიდის ტექნოპარკს, ქ. ბაღდათის, სოფ. ჭოპორტისა და დაბა ხარაგაულის ინოვაციების ცენტრებს ეწვია სულ 4058 ვიზიტორი.</p>				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2018				
სამომავლო გეგმები	მუნიციპალიტეტის მიერ 12 გამოყოფილი შენობიდან, მხოლოდ 4 შენობაა კონსტრუქციულად მდგრადი. შესაბამისად, მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია ინოვაციების ცენტრების გახსნა ახმეტასა და თელავში.				

ვალდებულება 6: სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი - მომხმარებლის მოდული	
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>სამოქმედო გეგმით ქონების სააგენტო იღებს ვალდებულებას შექმნას სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი - მომხმარებლის მოდული. მომხმარებლის მოდულის შექმნა ემსახურება არა მხოლოდ მომსახურების გაწევის ელექტრონულ სივრცეში დანერგვას, არამედ პროცესების მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმოებას.</p> <p>მომხმარებლის მოდული შესაძლებლობას მისცემს ყველა დაინტერესებულ პირს მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფო ქონების, საპრივატიზებო ობიექტების, გამოცხადებული აუქციონების შესახებ. აღნიშნული გაზრდის კონკურენციას და გაუმარტივებს მომხმარებლებს იმ ქონების და მომსახურების (პრივატიზება/იჯარა) იდენტიფიცირებას, რომლისთვისაც შეუძლიათ სააგენტოს მიმართონ.</p>
წამყვანი დაწესებულება	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პარტნიორები	<p>საჯარო დაწესებულება</p> <p>სამოქალაქო/კერძო სექტორი</p>
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სერვისების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი	სახელმწიფო ქონების ელექტრონული პორტალის მეშვეობით სახელმწიფო ქონების, გამოცხადებული აუქციონებისა თუ საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრა, რათა მომხმარებელთა გამოცდილება გაუმჯობესდეს.
ინდიკატორი	სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ელექტრონული პორტალი დანერგილია რეალურ სივრცეში
მიღწეული შედეგები	<p>ვალდებულების განხორციელების მიზნით, სააგენტოში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განსაზღვრა მომხმარებლის მოდულის კონცეფცია და ძირითადი მახასიათებლები. აღნიშნულის საფუძველზე ჩამოყალიბდა მომხმარებლის მოდულის ბიზნეს ამოცანა, რომელშიც დეტალურად არის მოცემული მომხმარებლის მოდულის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი.</p> <p>ტექნიკურად მომხმარებლის მოდულის სატესტო ვერსიის შექმნაზე მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის (SPMS) პრივატიზებისა და სახელმეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის მოდულების დანერგვის შემდგომ.</p>

	<p>საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ამ ეტაპზე შექმნილია და დანერგვის პროცესშია სახელმწიფო ქონების პრივატიზების მოდული, მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების მართვის სისტემაში სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამსახურის მოდულის შექმნაზე მუშაობა.</p> <p>დღევანდელი მდგომარეობით მომზადებულია სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის პრივატიზების და მონიტორინგის სამსახურის მოდულის სატესტო ვერსია. ამ ეტაპზე პროცესი შეჩერებულია და ვერ ხერხდება პროგრამული უზრუნველყოფის რეალურ რეჟიმში გაშვება. მომხმარებლის მოდულის ტექნიკური სამუშაოების დაწყება დამოკიდებულია SPMS-ის რეალურ რეჟიმში გადასვლაზე.</p>				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	არ არის აღნიშნული				
სამომავლო გეგმები	მომხმარებლის მოდულის შექმნის ტექნიკური სამუშაოების დაწყება.				

გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება

ვალდებულება 7: ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში მთავრობამ კიდევ უფრო მასშტაბური პროექტი – ინფორმაციის თავისუფლების სპეციალური კანონის შემუშავება დაიწყო. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვის მიზნით შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია: (1) ჩამოყალიბდა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც ძირითადი პრობლემური საკითხები განსაზღვრეს; (2) მომზადდა პირველადი პროექტი ძირითადი სავარაუდო ცვლილებებით, რომელიც განსახილველად ანტიკორუფციულ საბჭოს წარედგინა; (3) გაიმართა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან (მოსამართლეები, ჟურნალისტები, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები); (4) სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროს წარედგინა; (5) კანონპროექტმა გაიარა პირველადი საერთაშორისო ექსპერტიზა.</p> <p>ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტის ყველა სამთავრობო უწყებასთან შეთანხმებას იუსტიციის სამინისტრო წინამდებარე გეგმის ფარგლებში დაასრულეს. წარმოდგენილი კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის შემდეგ სამინისტრო ფართო კონსულტაციების კიდევ ერთ რაუნდს ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში ჩატარებს, რომლის დროსაც დაინტერესებულ საჯარო თუ არასამთავრობო ინსტიტუტებთან შეთანხმდება კანონის საბოლოო ტექსტი. ამის შემდეგ კანონპროექტი საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს წარედგინება.</p>				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; ანტიკორუფციული საბჭო				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს პარლამენტი			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	„ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება				
მთავარი მიზანი	საჯარო მომსახურების გაუმჯობესება				
ინდიკატორი	კანონპროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის				

მიღწეული შედეგები	<p>ინფორმაციის თავისუფლების ახალი კანონის შემუშავების პროცესი ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო.¹² შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც იუსტიციის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებით, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტდა. სამუშაო ჯგუფმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია: (1) ჩამოყალიბდა თემატური სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც ძირითადი პრობლემური საკითხები განსაზღვრეს; (2) მომზადდა პირველადი პროექტი ძირითადი სავარაუდო ცვლილებებით, რომელიც განსახილველად ანტიკორუფციულ საბჭოს წარედგინა; (3) გაიმართა შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან (მოსამართლეები, ჟურნალისტები, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები); (4) სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროს წარედგინა; (5) კანონპროექტმა გაიარა პირველადი საერთაშორისო ექსპერტიზა.</p> <p>2018 წლის განმავლობაში ჩატარდა ფართო მასშტაბიანი შეხვედრები საჯარო დაწესებულებებთან კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის მიზნით. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები შეხვდნენ ყველა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს, გააცნეს პროექტი და ერთობლვად იმუშავეს კანონპროექტის დახვეწის მიზნით.</p> <p>ამ ეტაპზე კანონის საბოლოო ვერსიის შემუშავების მიზნით უწყებათაშორისი კონსულტაციები მიმდინარეობს. კანონპროექტი საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება.</p>				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2019				
სამომავლო გეგმები	კანონპროექტი საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება.				

ვალდებულება 8: სამთავრობო პოლიტიკისა და საკანონმდებლო აქტების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება					
ვალდებულების მოკლე აღწერა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებისა და საკანონმდებლო აქტების შეფასებისა და მონიტორინგის ერთიან ჩარჩოს შეიმუშავებს. აღნიშნული სისტემის მეშვეობით, როგორც ex-ante, ასევე ex-post შეფასების საფუძველზე შესაძლებელი იქნება მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული გამოწვევების დროულად განსაზღვრა და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, რაც პოლიტიკის პროცესის წარმართვას უფრო ეფექტურს გახდის.				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია				
პარტნიორები	<table border="1"> <tr> <td data-bbox="316 1528 560 1591">საჯარო დაწესებულება</td> <td data-bbox="560 1528 1521 1591">საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</td> </tr> <tr> <td data-bbox="316 1591 560 1654">სამოქალაქო/კერძო სექტორი</td> <td data-bbox="560 1591 1521 1654"></td> </tr> </table>	საჯარო დაწესებულება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	სამოქალაქო/კერძო სექტორი	
საჯარო დაწესებულება	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო				
სამოქალაქო/კერძო სექტორი					
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება				
მთავარი მიზანი	სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების შეფასება და ეფექტური მართვა				
ინდიკატორი	სამთავრობო პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა შემუშავებული და დანერგულია				

¹² ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის თვითშეფასების [ანგარიში](#), გვერდი

მიღწეული შედეგები	<p>(1) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მართვისა და მმართველობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის (SIGMA) ექსპერტთა დახმარებით 2016 წელს შეიმუშავა მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემების შესახებ ჩარჩო დოკუმენტი; აღნიშნულთან დაკავშირებული რეგულაცია მთავრობამ ამავე წლის დეკემბერში დაამტკიცა (საქართველოს მთავრობის დადგენილება N628). დოკუმენტი შემუშავდა პარტნიორი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.</p> <p>(2) ევროკავშირის პროექტის „საკანონმდებლო ზემოქმედების შეფასება, კანონშემოქმედებითი პროცესი და წარმომადგენლობითი უნარების გაძლიერება“ ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. ამ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფი, პროექტის ექსპერტების ჩართულობით, მუშაობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ რეგულირების ზეგავლენის შეფასების (Regulatory Impact Assessment) პირველი საპილოტე ანგარიშის მომზადებაზე, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.</p>										
შესრულების შეფასება	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>სრულად შესრულდა</th> <th>უმეტესწილად შესრულდა</th> <th>ნაწილობრივ შესრულდა</th> <th>არ შესრულდა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ვალდებულების შეფასება</td> <td></td> <td>x</td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	ვალდებულების შეფასება		x		
	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა							
ვალდებულების შეფასება		x									
დასრულების თარიღი	სექტემბერი, 2019										
სამომავლო გეგმები	<p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პარტნიორ უწყებებთან (UNDP, IDFI და მონაცემთა გაცვლის სააგენტო) ერთად 2018 წელს შეიმუშავებს და დანერგავს ახალ ელექტრონულ სისტემას (SDG Tracker), რომლის მიზანი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (Sustainable Development Goals - SDGs) მონიტორინგის ეფექტიანად და გამჭირვალედ განხორციელება იქნება. აღნიშნული სისტემის საშუალებით ნებისმიერი დაინტერესებული მხარე შეძლებს ონლაინ რეჟიმში მოიძიოს ინფორმაცია კონკრეტული მიზნების შესაბამისად მიღწეული პროგრესის შესახებ.</p> <p>SDG Tracker უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო უწყებების მიერ SDG მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შესახებ უახლესი ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრას და მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომობას.</p> <p>შეიქმნება პოლიტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც ეფექტიანსა და მოქნილს გახდის უწყებათაშორის თანამშრომლობას, საქმიანობის დაგეგმვასა და შესრულების შეფასებას. სისტემაში თავმოყრილი იქნება პოლიტიკის ყველა დოკუმენტი, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან სამთავრობო პრიორიტეტებთან. სისტემა მონიტორინგს გახდის უფრო ეფექტურს და გაამარტივებს ანგარიშგების პროცესს. ელექტრონული სისტემის შექმნის ძირითადი მიზანი არის შედეგზე დაფუძნებული მართვისა და სტრატეგიული დაგეგმვის ხელშეწყობა საჯარო მმართველობაში. ამ ეტაპისთვის სისტემის შესახებ შემუშავებულია კონცეფცია და განხილულია სამუშაო ჯგუფში. სისტემა 2019 წლის ბოლოსთვის გაეშვება.</p>										

ვალდებულება 9: თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის დასაწყისიდან საჯარო სამსახურის ბიურო განახორციელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, დამოუკიდებელი კომისიის მიერ, ცხადი და ობიექტური</p>

		კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული, ასევე, ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იდენტიფიცირებული დეკლარაციების მიმართ.			
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო			
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საქართველოს მთავრობა; ანტიკორუფციული საბჭო; სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი				
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება			
მთავარი მიზანი		თანამდებობის პირთა ქონებრივი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდა (კორუფციულ სამართალდარღვევათა პრევენცია)			
ინდიკატორი		„თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება მიღებულია; სისტემა ფუნქციონირებს			
მიღწეული შედეგები		2016 წლის დეკემბერში, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტომ დაასრულა მუშაობა თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემაზე და ადმინისტრირებისათვის გადასცა ბიუროს. სისტემა უზრუნველყოფს რეალურ რეჟიმში სახელმწიფო დაწესებულებების ელექტრონულ ბაზებში დაცულ სხვადასხვა ინფორმაციაზე წვდომას და მონიტორინგის განმახორციელებელს აძლევს შესაძლებლობას შეადაროს თანამდებობის პირის მიერ დეკლარაციაში ასახული ინფორმაცია სახელმწიფო ბაზებში არსებულ მონაცემებს.			
		დეკლარირების ერთიან სისტემაში ინტეგრირებულია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - ნოტარიუსთა პალატის, სსიპ - მომსახურების სააგენტოს, სსიპ - შემოსავლების სამსახურისა და სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზები, რომელთა დახმარებით, საკუთარი კომპეტენციის სფეროს გათვალისწინებით, იდენტიფიცირდება თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის შესახებ ინფორმაცია.			
		თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის სრულყოფილად დანერგვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ, 2017 წლის 14 თებერვლის N81 დადგენილებით, დაამტკიცა „შესამოწმებელი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის ინსტრუქცია“. ბიუროს მიერ 2016 წელს საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე შექმნილმა დეკლარაციების მონიტორინგის დეპარტამენტმა, 2017 წლის თებერვალში, დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის დახმარებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, შეარჩია 2017 წლის განმავლობაში შესამოწმებელი დეკლარაციები, რაც შეადგენს შევსებული დეკლარაციების სრული რაოდენობის 5%-ს. კერძოდ, შერჩეულია 283 თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია და დაწყებულია მათი მონიტორინგი. მონიტორინგი ხორციელდება ეტაპობრივად, 2017 წლის მარტიდან ნოემბრის ჩათვლით.			
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი		დეკემბერი, 2017			
სამომავლო გეგმები		ბიუროს უფროსმა, 2017 წლის 25 აპრილის N200/სა ბრძანებით, დაამტკიცა „დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის იმპლემენტაციის მიზნით განსახორციელებელი 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს ამ მიმართულებით 2017 წლის ბოლომდე განსახორციელებელ ღონისძიებებს.			

ვალდებულება 10: სასამართლო გადაწყვეტილებების გამოკვეყნების ერთიანი წესის დადგენა

ვალდებულების მოკლე აღწერა	სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების ერთიანი წესის დადგენა ემსახურება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ვალდებულების მიზანია სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. შემუშავებული ერთიანი წესის საფუძველზე სასამართლო გადაწყვეტილებები გამოქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე.				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს უზენაესი სასამართლო				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	საერთო სასამართლოები, იუსტიციის უმაღლესი საბჭო			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი				
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება				
მთავარი მიზანი	სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ამაღლების მიზნით, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფა პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებით				
ინდიკატორი	პერსონალური მონაცემების დაფარვის ფორმით სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესი დანერგილია.				
მიღწეული შედეგები	სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საერთო სასამართლოებში გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის წესების, ძირითადი მიმართულებების და პრინციპების დადგენის ერთიანი სტანდარტის შექმნის თაობაზე. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციები და შესაბამისი პროექტი. აღნიშნული პროექტი წარედგინა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელმაც დოკუმენტი 2016 წლის სექტემბერში დაამტკიცა. წესის დამტკიცების შემდგომ საერთო სასამართლოებში დაიწყო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ერთიანი წესის დანერგვა, სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიანი რეესტრის ვებ-გვერდის - info.court.ge -ს გაუმჯობესება.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2019				
სამომავლო გეგმები	<p>ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „სასამართლო მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში, მოზადდა კონცეფცია და ხორციელდება თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ვებ-გვერდის დანერგვა/მოზადება. ვებ-გვერდზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოზადდება სასამართლო გადაწყვეტილებების ბაზა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის. მსგავსი ფორმატის ვებ-გვერდები განახლდება საერთო სასამართლოების სისტემაში. ამჟამად დაშტრიხული გადაწყვეტილებების განთავსება ხდება info.court.ge-ზე, თუმცა აღნიშნული საიტის მუშაობა არ არის გამართული სისწრაფისა და მოხერხებულობის თვალსაზრისით. საიტს დაახლოებით 1500-2000 მომხმარებელი იყენებს დღიურად. საინფორმაციო ტექნოლოგიების ჯგუფის მიერ მოამზადებულ დასკვნის თანახმად აუცილებელია შეიქმნას სამივე ინსტანციის სასამართლოს გაერთიანებული საძიებო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოში არსებული ყველა დაშტრიხული განაჩენის, საბოლოო დოკუმენტის, საჯარო შეტყობინების და სასამართლოში დანიშნული სხდომების მოძებნის საშუალებას. 2018 წლის გაზაფხულზე 4 დონორის (ევროსაბჭო, ევროკავშირი, PROLOG, GIZ) ერთობლივი ინიციატივით შეირჩა კომპანია (ICT Business Council) IT აუდიტის განხორციელების მიზნით. კერძოდ, კომპანიის მიერ მიმდინარეობს ელექტრონული საქმის წარმოების ფუნქციონირების და შესაბამისი ტექნიკური პრობლემების დიაგნოსტიკა; სასამართლოში არსებული რესურსების (ადამიანური და მატერიალური, მათ შორის ქსელური ინფრასტრუქტურა) შეფასება; საქმის</p>				

	ელექტრონული განაწილების სრულფასოვნად დანერგვისათვის არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება; სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობის უზრუნველყოფა ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამის სრულყოფილად ამუშავებამდე/ამუშავების გარეშე.
--	---

ვალდებულება 11: რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის დარგში გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ვალდებულების მოკლე აღწერა	ვალდებულების მიზანია შემუშავდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტებისთვის გაიწერება კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სტანდარტები, ხოლო ამ სტანდარტების დანერგვის მიზნით, შემუშავდება სამოქმედო გეგმა. დოკუმენტში მოცემული სტანდარტების დანერგვა კი, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სამინისტროს ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში (GGI)			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა				
მთავარი მიზანი	გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების გაზრდა სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში				
ინდიკატორი	გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებული და დამტკიცებულია ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით				
მიღწეული შედეგები	მინისტრის 2017 წლის 26 აპრილის №69/ო ბრძანებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2017-2020 წწ. და სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. აღნიშნული დოკუმენტები მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) მჭიდრო თანამშრომლობით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.				
	სტრატეგიის ძირითადი მიზანია სამინისტროს და მის სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში ანგარიშვალდებულების, კეთილსინდისიერების და გამჭვირვალობის სისტემის გაუმჯობესება, სამინისტროს საქმიანობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა და კორუფციის პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესება. სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ძირითად ამოცანებად დაისახა (1) გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა; (2) ეთიკისა და კეთილსინდისიერების მექანიზმების გაუმჯობესება; (3) ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება და (4) დაგეგმვის, მონიტორინგისა და შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დახვეწა.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი	აპრილი, 2017				
სამომავლო გეგმები	ამჟამად სამინისტროში მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით, გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.				

ვალდებულება 12: მსჯავრდებულთა მონაცემთა ბაზის სრულყოფა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად გადასვლა ელექტრონულ საქმისწარმოებაზე

<p>ვალდებულების მოკლე აღწერა</p>	<p>სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო 2017 წლისათვის გააუმჯობესებს არსებულს ან შექმნის მსჯავრდებულთა მონაცემთა ახალ ბაზას. ვალდებულების აღების მომენტისთვის არსებული მონაცემთა ბაზა ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავება/დახარისხებას სათანადო დონეზე; ბაზაში არ არის ასახული სრულყოფილი მონაცემები და ვერ ხდება მათი სათანადო ფილტრაცია.</p> <p>განახლებული ბაზა უზრუნველყოფს სასჯელადსრულების დაწესებულებებისა და პენიტენციური დეპარტამენტის სრულად ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლას. ამავდროულად, შესაძლებელი იქნება სტატისტიკური მონაცემების უკეთესად დამუშავება, ანალიზი და პერსონალურ მონაცემთა უკეთესად დაცვა. განახლებული ბაზის დანერგვა მოხდება ეტაპობრივად.</p>
<p>წამყვანი დაწესებულება</p>	<p>2018 წლის ივლისში საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეყნურობა დაწესებულებად - სპეციალური პენიტენციური სამსახური.</p>
<p>პარტნიორები</p>	<p>საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი</p> <p>ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი</p>
<p>შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან</p>	<p>საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება</p>
<p>მთავარი მიზანი</p>	<p>ინფორმაციის ხარისხიანი დამუშავების შედეგად პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის ხელშეწყობა; შესაბამისი რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამების იმპლემენტაცია; საქმისწარმოების პროცესისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის დაჩქარება; საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი, პროდუქტიული და ეკონომიური განკარგვის ხელშეწყობა.</p>
<p>ინდიკატორი</p>	<p>ფუნქციონირებს განახლებული მონაცემთა ბაზა და ელ. სისტემა</p>
<p>მიღწეული შედეგები</p>	<p>2017 წლის ივნისში ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემების საინფორმაციო ბაზები. აღნიშნულის შედეგად, შემუშავდა ელექტრონული სისტემების გასაუმჯობესებლად საჭირო რეკომენდაციები. რეკომენდაციებზე დაყრდნობით, 2017 წლის სექტემბერში, სამინისტროს და ევროკავშირის პროექტის ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შედეგად, შემუშავდა ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნის სამოქმედო გეგმა, ასევე, შეიქმნა მუდმივმოქმედი საბჭო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს საინფორმაციო ბაზების დახვეწისა და ახალი ბაზის შექმნის პროცესს.</p> <p>ევროკავშირის პროექტის ექსპერტების უშუალო ხელმძღვანელობით 2017 წლის ნოემბერში დაიწყო სისტემაში მსჯავრდებულთა მოძრაობის ტრანსპარენტის დეტალური სურათის აღწერა. აღნიშნულზე დაყრდნობით შემუშავდება პროგრამის ტექნიკური დავალება.</p> <p>2018 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, ბიზნეს ანალიტიკოსებმა და ექსპერტებმა შეიმუშავეს მიზნის მისაღწევად საჭირო დროში გაწერილი ტექნიკური დავალებები (timebox). ამასთანავე, ივლისში განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების შედეგად, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემა დაექვემდებარა იუსტიციის სამ</p>

	ინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - „სპეციალური პენიტენციური სამსახურის“ სახით. ცვლილებების საფუძველზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ აღნიშნული ბაზების შექმნას უხელმძღვანელებს და საქმიანობას ტექნიკურად განახორციელებს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „Smart Logic“. კერძოდ, ამჟამად უკვე მომზადებული ტექნიკური დავალებებიდან ე. წ. ორი timebox გადაეცა სსიპ „Smart Logic“-ს, ამასთანავე, მოხდება დეველოპერის შერჩევა და დასაქმება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფინანსური დახმარებით. სხვა საჭირო საქმიანობას განახორციელებენ და უშუალოდ წარმართავენ პროცესს სსიპ „Smart Logic“-ის დეველოპერები.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x	
დასრულების თარიღი	მაისი, 2019				
სამომავლო გეგმები	არსებული საინფორმაციო ბაზების დახვეწა; ახალი ერთიანი ბაზის შექმნის დასრულება, რომელიც ასახავს მსჯავრდებულთა სამედიცინო და სხვა საჭიროებებს შესაბამის სარეაბილიტაციო გეგმებთან ერთად. ხარვეზების დროულად აღმოფხვრისა და ბაზის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად, დაგეგმილია ახალი სისტემის პერიოდული ტესტირება.				

ვალდებულება 13: სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების მონაცემების გამოქვეყნება დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით	
ვალდებულების მოკლე აღწერა	ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციით ღია მმართველობა საქართველოს მეორე სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ფარული მიყურადების შესახებ სასამართლოს სტატისტიკის პროაქტიული გამოქვეყნება დაიწყო. ამით საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყანათა მცირერიცხოვან ჯგუფში მოხვდა, სადაც ასეთი მონაცემები საჯაროდ ქვეყნდება. OGP-ის დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმმა (Independent Reporting Mechanism - IRM) აღნიშნული ვალდებულება მეორე სამოქმედო გეგმის ე.წ. „ვარსკვლავურ“ ვალდებულებად დაასახელა. ვალდებულების შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნდება დანაშაულის დიფერენცირებისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით.
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს უზენაესი სასამართლო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი	დღემდე დახურული მონაცემების გახსნა; სასამართლო ხელისუფლების მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა
ინდიკატორი	სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებულია ვებგვერდზე
მიღწეული შედეგები	ვალდებულების შესრულების მიზნით, შემუშავდა და დაიხვეწა სასამართლოებში არსებული სტატისტიკური ანგარიშების ფორმები. ამის შემდგომ დაიწყო ანგარიშების შემუშავებული ფორმების დანერგვა და კრებისითი ანგარიშების მიღება საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში. განხორციელებული სამუშაოების დახმარებით, უზენაესი სასამართლოს ვებ გვერდზე გამოქვეყნდა სატელეფონო საუბრის ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობების შესახებ 2016 წლის მონაცემები დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასამართლოების მიხედვით.

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2017				
სამომავლო გეგმები	ინფორმაცია კვარტალურად ახლდება და ქვეყნდება OGP-ის ლოგოს ქვეშ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდის სიახლეების ბლოკში.				

გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

ვალდებულება 14: საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>სახელმწიფო აუდიტის სამსახური სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით გეგმავს გაამლიეროს საჯარო ფინანსების ზედამხედველობის (საჯარო აუდიტის) პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.</p> <p>პირველ ეტაპზე, შეიქმნება სტრატეგია. სტრატეგიაში მოცემული იქნება მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა კონსტრუქციულ მონაწილეობას აუდიტის სრული ციკლის პროცესში, მათ შორის, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ეტაპზე.</p> <p>გარდა ამისა, ინოვაციური ICT მექანიზმის, ვებ პლატფორმის მეშვეობით მოქალაქეებს მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის მიგნებების, გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ.</p> <p>ვებ პლატფორმა შექმნის ორმხრივი კომუნიკაციის არხს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და მოქალაქეებს შორის. ერთი მხრივ, მოქალაქეები გაეცნობიან აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მეორე მხრივ, საშუალება ექნებათ სამსახურს აცნობონ მათ მიერ იდენტიფიცირებული როგორც კონკრეტული გადაცდომების ასევე, სახელმწიფო მომსახურებების ნაკლოვანების შესახებ. ამასთან, მოქალაქეები შეძლებენ წარმოადგინონ პროფესიულ კვლევებზე დაფუძნებული წინადადებები აღმოჩენილი ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. მოქალაქეებისგან მიღებული ინფორმაცია გაანალიზებული და მიზანშეწონილობის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება აუდიტის გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესებში.</p>
წამყვანი დაწესებულება	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება
	სამოქალაქო/კერძო სექტორი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო სერვისების გაუმჯობესება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა
მთავარი მიზანი	საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობით საჯარო მმართველობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების გაუმჯობესება, შესაბამისად, საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი, პროდუქტიული და ეკონომიური განკარგვის ხელშეწყობა
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> საჯარო აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის დოკუმენტი დამტკიცებულია; ვებპლატფორმა გამოიყენება თვეში მინიმუმ 50 უნიკალური ვიზიტორის მიერ;

	<ul style="list-style-type: none"> - ყოველ წელს მოქალაქეების მხრიდან წარმოდგენილია მინიმუმ 12 წინადადება აუდიტის ჩატარების მოთხოვნის მიზნით; - ყოველ წელს აუდიტის გეგმაში გათვალისწინებულია მოქალაქეების მხრიდან წარმოდგენილი მინიმუმ 3 წინადადება
<p>მიღწეული შედეგები</p>	<p>წინამდებარე ვალდებულების განხორციელების ფარგლებში, აუდიტის სამსახურმა აქტიურად ითანამშრომლა სამოქალაქო საზოგადოებასთან. გაიმართა არა ერთი შეხვედრა/კონსულტაცია. მაგალითად, 2016 წელს, სას-ის ორგანიზებით გამართულ ორდღიან სემინარზე, განიხილეს აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, გამოწვევები და რეკომენდაციები. ასევე, სას-ის თანამშრომლებმა მიიღეს უკუკავშირი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან ანალიტიკური ვებპლატფორმა „ბიუჯეტის მონიტორის“ შემდგომი განვითარების მიმართულებით.</p> <ul style="list-style-type: none"> - აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პროექტის ფარგლებში უცხოელმა ექსპერტმა მოამზადა მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიის სამუშაო ვერსია. აღნიშნული სტრატეგია მორგებულია საქართველოს კონტექსტს და შეიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: <ul style="list-style-type: none"> • საჯარო რესურსების მართვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის როლი, მნიშვნელობა და გავლენა; • სტრატეგიის მომზადების მეთოდოლოგია; • საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემოს ანალიზი; • სახელმწიფო აუდიტის სამსახურის როლი, მანდატი და მთავარი სტრატეგიული მიმართულებები; • ზედამხედველობის პროცესში პარლამენტის როლი; • სამოქალაქო სექტორისა და მედიის მნიშვნელობა მოქალაქეთა ჩართულობის გასაძლიერებლად; • მოქალაქეთა ჩართულობის მთავარი მიზნები და ამოცანები; • მოქალაქეთა ჩართულობის სამოქმედო გეგმა; • მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერებისთვის საჭირო რესურსები. - უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადებული სტრატეგია წარედგინა, როგორც სას-ს, ასევე, მოქალაქეთა ჩართულობის საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფს კომენტარების, შენიშვნებისა და შემოთავაზებების მოსაწოდებლად. მიღებული უკუკავშირი აისახა სტრატეგიის დოკუმენტში, რომელიც დამტკიცდა გენერალური აუდიტორის მიერ 2017 წლის ივლისში. - სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შექმნა ანალიტიკური ვებპლატფორმა - „ბიუჯეტის მონიტორი“ რომლის კონცეფციაც გულისხმობს მოქალაქეებისთვის განახლებადი ინფორმაციის მიწოდებას სახელმწიფო ბიუჯეტის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის მიგნებების, გაცემული რეკომენდაციებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამასთან, ყველა სახის ინფორმაცია მოწოდებულია მარტივად აღქმადი ვიზუალიზაციებითა და გრაფიკებით. ასევე, ბიუჯეტის მონიტორის სახით შეიქმნა ორმხრივი კომუნიკაციის მექანიზმი მოქალაქეებსა და სას-ს შორის, რომლის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სამსახურს აცნობოს მის მიერ იდენტიფიცირებული, როგორც კონკრეტული გადაცდომების, ასევე, სახელმწიფო სერვისების ნაკლოვანებების შესახებ. <p>„ბიუჯეტის მონიტორის“ პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტში 2017 წლის მარტში გაიმართა და ოფიციალურად გაეშვა ვებ სივრცეში.</p> <ul style="list-style-type: none"> - 2018 წლის აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა ბიუჯეტის მონიტორის არანაკლებ 25 პრეზენტაცია სხვადასხვა დაინტერესებული მხარისათვის, კერძოდ ბიუჯეტის მონიტორი წარედგინათ: <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს პარლამენტის წევრებს; • საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს;

	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს; • მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს; • სტუდენტებს; • საერთაშორისო საზოგადოებას სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და კონფერენციებზე. <p>ბიუჯეტის მონიტორის პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდა ვებ პლატფორმის შესახებ ინფორმაციული ვიდეო რგოლი, რომელიც მოკლედ აღწერს ბიუჯეტის მონიტორის ყველა მნიშვნელოვან გვერდს და მასზე არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული მოკლემეტრაჟიანი ვიდეო რგოლი განთავსდა სოციალურ ქსელში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.</p> <ul style="list-style-type: none"> - რაც შეეხება ბიუჯეტის მონიტორის გამოყენებას, 2017 წლის განმავლობაში პლატფორმის უნიკალური მომხმარებლების რაოდენობამ 6,374 ერთეული შეადგინა, ხოლო 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით ჯამურად პლატფორმის უნიკალური მომხმარებლების ოდენობა 15 ათასს გაუტოლდა. საშუალოდ კი ვებ-პლატფორმა გამოიყენება თვეში მინიმუმ 400 უნიკალური ვიზიტორის მიერ. - აღსანიშნავია, რომ წლიური აუდიტორული გვერდის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მომართვები. 2017-2018 წლებში მიღებული 45 მომართვიდან (მათ შორის 2017 წელს მიღებული 29 მომართვიდან) 9 მომართვა გათვალისწინებულ იქნა 2017 წლის, ხოლო 11 - 2018 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმაში. - 2017 წელს ბიუჯეტის მონიტორმა მოიპოვა გაეროს ციფრული ინოვაციების ჯილდო (World Summit Award of digital innovations), „ფისკალური გამჭვირვალობის გლობალური ინიციატივის“ (GIFT) ჯილდო და საქართველოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ბიზნეს საბჭოს IT ინოვაციების (GITI) ჯილდო. 										
შესრულების შეფასება	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>სრულად შესრულდა</th> <th>უმეტესწილად შესრულდა</th> <th>ნაწილობრივ შესრულდა</th> <th>არ შესრულდა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ვალდებულების შეფასება</td> <td>x</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	ვალდებულების შეფასება	x			
	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა							
ვალდებულების შეფასება	x										
დასრულების თარიღი											
სამომავლო გეგმები	<p>მოქალაქეთა ჩართულობისა და პლატფორმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიზნად ისახავს დანერგოს მოქალაქეებისგან მიღებულ მომართვებსა და შეტყობინებებზე უკუკავშირის მექანიზმი. ამ გზით შესაძლებელი გახდება შემოსულ მომართვებსა და შეტყობინებებზე (მათ შორის, ანონიმურზე) რეაგირების სტატუსის თვალყურის დევნება. თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე გეგმავს მოქალაქეების მიერ წარმოდგენილ მომართვებზე მოამზადოს აუდიტის შედეგები საზოგადოებისათვის მარტივად აღქმადი ფორმით.</p>										

ვალდებულება 15: ელექტრონული ინოვაციები საჯარო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>კომპონენტი 1 - ტენდერების შესახებ მონაცემების ერთ სივრცეში თავმოყრა. აგრეგირებით მარტივად ხელმისაწვდომი იქნება მონაცემები შესყიდვის ობიექტების, ტენდერის ტიპების, პრეტენდენტთა რაოდენობის, ტენდერის სავარაუდო და სახელშეკრულებო ღირებულების, გამარჯვებული მიმწოდებლების, დისკვალიფიცირებულ პრეტენდენტთა რაოდენობის და სხვათა შესახებ (წლიური მონაცემები განთავსდება მანქანით წაკითხვად ფორმატში (CSV, JSON, XML)).</p>
---------------------------	--

	<p>კომპონენტი 2 - სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმების შესახებ გაერთიანებული ინფორმაცია: ელექტრონულ მოდულში დაგეგმილი ცვლილება მომხმარებელს შესაძლებლობას მისცემს, მიიღოს დეტალური ინფორმაცია თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციის წლიურ შესყიდვებზე, ასევე, უზრუნველყოს დაგეგმილ სახელმწიფო შესყიდვებზე ინფორმაციის გაერთიანება რეგიონების და ფასის მიხედვით. შედეგად, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს მიეცემა უნიკალური საშუალება, CPV კოდის მითითებით მიიღონ ინფორმაცია, თუ e-Procurement-ის სისტემაში რეგისტრირებული 4469 შემსყიდველი ორგანიზაციიდან რომელი გეგმავს ამა თუ იმ შესყიდვის ობიექტის შექმნას, რა ფასად და რომელ რეგიონში.</p> <p>კომპონენტი 3 - შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგის (e-Market) შექმნა, რომელიც (1) ობიექტურად ასახავს ბაზარზე არსებულ ფასებს; (2) თავს მოუყრის სხვადასხვა პროდუქტის ფასს მიმწოდებლების მიხედვით; (3) ასახავს ინფორმაციას პოტენციურ მიმწოდებლებზე როგორც მთლიანი ქვეყნის, ისე რეგიონების მასშტაბით და ა.შ.</p>
წამყვანი დაწესებულება	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
პარტნიორები	<p>საჯარო დაწესებულება</p> <p>სამოქალაქო/კერძო სექტორი</p> <p>სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო</p>
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სერვისების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი	<ul style="list-style-type: none"> - მომხმარებლებისთვის, მათ შორის, შემსყიდველი ორგანიზაციებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მეტი მოქნილობის უზრუნველყოფა; - ბიზნესის ხელშეწყობა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კონკურენციის გაზრდა; - საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მონიტორინგში მოქალაქეთა და სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე.
ინდიკატორი	e-Procurement სისტემის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა; ბიზნეს ორგანიზაციების მიერ e-Plan მოდულის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა; e-Market-ის e-Procurement სისტემაში ამოქმედება და მისი მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა.
მიღწეული შედეგები	<p>კომპონენტი I/II: ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაციისა და სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმების შესახებ გაერთიანებული ინფორმაციის გაშვებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო Open Contracting Data Standard-ის (OCDS) ფორმატის დანერგვის ფარგლებში გეგმავს. მონაცემთა ღიაობის პრინციპებისა და OCDS-ის ფორმატის დანერგვისათვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ანალიტიკური სამსახური და სხვა დანაყოფები ინტენსიურ მეთოდოლოგიურ, კვლევით და პროგრამულ-ტექნიკურ სამუშაოებს აწარმოებენ.</p> <p>ამ პროცესში სააგენტოს პარტნიორია მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი. მათთან ერთად მომზადდა ქართულ eProcurement სისტემაში დაცული მონაცემების OCDS სტანდარტში გადაყვანის, აგრეგირებისა და გამოქვეყნების ეტაპობრივი გეგმა. 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა STATS.SPA.GE, რომლის მიზანია დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნულ პორტალზე ყოველკვარტლურად ხორციელდება ინფორმაციის განახლება, რომელიც მიზნად ისახავს სისტემის მომხმარებლისა და დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ქმედებების შესახებ (გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა, საშუალო მონაწილეობა, გამოცხადებული ტენდერების ჯამური ღირებულებები, სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლების</p>

რეგისტრაციის რაოდენობა და ა.შ. 2017 წლის თებერვალში სააგენტოს OCDS-ის პროექტის ფარგლებში მსოფლიო ბანკის სპეციალური მისია სტუმრობდა. სააგენტოს, ასევე იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროების წამყვანი ექსპერტები გაეცნენ მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, ასევე, მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრებში, რომელზეც განხილულ იქნა ღია მონაცემთა ფორმატის შემოღების და დამკვიდრების თანამედროვე გზები.

მიმდინარე წლის 17-19 ივლისს თბილისში გაიმართა ღია მმართველობის პარტნიორობის მე-5 გლობალური სამიტი. სამიტზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაეთმო სპეციალური სესია. სესიაზე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ღია მონაცემთა პარტნიორობის (OCP) წარმომადგენლებთან ერთად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ფორუმის მონაწილეთა წინაშე წარსდგა, OGP-ის 2018 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშით.

აღსანიშნავია, რომ OCDS-ის მიხედვით არსებობს ღია მონაცემთა გამოქვეყნების სტანდარტის 4 (3 ძირითადი და 1 დამატებითი) დონე: (1) საბაზისო; (2) შუალედური; (3) მოწინავე; (4) დამატებითი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიზანია, საქართველოში დაინერგოს მე-3 დონის სტანდარტი.

კომპონენტი III: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის ტენდერების მოსამზადებელი სამუშაოების უკეთ წარმართვისა და ბაზრის კვლევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, შექმნა შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგი (eMarket), რომელიც მოიცავს ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, მიმწოდებლების, შესყიდვის კატეგორიების (CPV კოდები), მწარმოებელი ქვეყნის, სახეობა/მოდელის, სპეციფიკაციების, ფასებისა და მიწოდების პირობების შესახებ. კატალოგი¹³ ჩაშენდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

eMarket-ს გააჩნია ძეგლის ველები, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი პროდუქტების ჩამონათვალი, მონიშნოს ისინი და შეადაროს თითოეული მათგანის სპეციფიკაციები. ამგვარად, შემსყიდველ ორგანიზაციას უადვილდება ბაზრის მოკვლევა და სასურველი არჩევანის გაკეთება. ელექტრონულ კატალოგში ამჟამად რეგისტრირებული პროდუქციის ჩამონათვალი 6,000 ჩანაწერს აღწევს. აღსანიშნავია, რომ შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგი მუდმივად განახლების პროცესშია. შემდგომში მას დაემატება ინფორმაცია შესყიდვის სხვა ობიექტებისა და მიმწოდებლების შესახებ.

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
შესრულების შეფასება				
ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2017			
სამომავლო გეგმები				

¹³ ხელმისაწვდომია: <http://emarket.spa.ge/>.

გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა

ვალდებულება 16: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიღება

ვალდებულების მოკლე აღწერა	ვალდებულება გულისხმობს გარემოსდაცვითი კოდექსის მიღებას, რომელიც გაითვალისწინებს გარემოსდაცვით საკითხებში „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (შემდგომში - ორჰუსის კონვენცია) მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	უსაფრთხო გარემოს შექმნა; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა
მთავარი მიზანი	გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობების რეგულირების ქვეშ მოქცევა, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკების შემცირება; საქმიანობის დაგეგმვის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი გარემოსდაცვითი რისკების განსაზღვრა, ინვესტორის დანახარჯების და ფინანსური რისკების შემცირება; ქვეყნის სივრცითი და ეკონომიკური დაგეგმვისას (სტრატეგიული დაგეგმვა) გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინება, მწვანე ეკონომიკის პრინციპების რეალიზაცია; ორჰუსის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა.
ინდიკატორი	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი მიღებულია; რეგულაციით განპირობებული ცვლილებების შესაბამისად არსებული კადრების გადამზადებულია და ახალი კადრები აყვანილია
მიღწეული შედეგები	<p>2017 წლის 1 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც სრულიად შეესაბამება როგორც ევროკავშირის გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივებს, ასევე ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კონვენციას (ესპოს კონვენცია), მის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმს და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციას (ორჰუსის კონვენცია). კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.</p> <p>ახალი კოდექსიდან გამომდინარე მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის ზრდა, მათი დაყოფა გარემოზე ზემოქმედების რისკებისა და ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით და ასევე გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. აგრეთვე, შემუშავდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პრაქტიკაში განხორციელების სახელმძღვანელო დოკუმენტები.</p> <p>კანონის პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ტექნიკური დახმარებით, „მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ</p>

	სამეზობლოში" (EaP GREEN) პროგრამის ფარგლებში შემუშავდა. ამავდროულად, ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისა და კონსულტანტებისათვის, რომელთაც მოუწევთ ახალი რეგულაციების რეჟიმში მუშაობა, დეტალურად იქნა განხილული კანონპროექტის მთავარი პრინციპები, პროცედურები. კანონპროექტის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე გაიმართა არაერთი საჯარო განხილვა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი	აგვისტო, 2017				
სამომავლო გეგმები					

ვალდებულება 17: „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის - მობილური აპლიკაციის დანერგვა

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>გადაუდებელი დახმარების მიღების დროის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესია ლოკაციის დაუყოვნებლივ განსაზღვრის მექანიზმების არსებობა. ამ მიზნით მიზანშეწონილია „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული საკომუნიკაციო არხის, მობილური აპლიკაციის დანერგვა. შესაბამისად გაიწერა გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა წარმოადგენს.</p> <p>პროექტის ყველაზე დიდი უპირატესობაა: ა) ინიციატორს და 112-ის ოპერატორს შორის უმოკლეს დროში კავშირის დამყარება, და ბ) ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ განსაზღვრის შესაძლებლობა, რაც გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის პროცესში მოქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.</p>
წამყვანი დაწესებულება	შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - „112“
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	უსაფრთხო გარემოს შექმნა; საჯარო სერვისების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი	ტექნოლოგიების და ინოვაციების გათვალისწინებით, „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ხელმისაწვდომობის გაზრდას და გადაუდებელი დახმარების უმოკლეს დროში მიღებას
ინდიკატორი	მობილური აპლიკაცია დანერგილია
მიღწეული შედეგები	<p>1. შემუშავდა მობილური აპლიკაციის პირველი ფაზით გათვალისწინებული ფუნქციონალი:</p> <p>- მობილური აპლიკაციიდან „112“-ზე დარეკვა - მოიცავს სამ კომპონენტს: (1) გადაუდებელ შემთხვევებში ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრა; (2) ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების „112“-ში გაგზავნა; და (3) „112“-ის ოპერატორთან დაკავშირება. მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა ნებისმიერ დროს დააჭიროს ღილაკს „გათიშვა“, ან/და გამოტოვოს ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი კოორდინატების გაგზავნის პროცედურა. ინტერნეტის გათიშვის შემთხვევაში, აპლიკაცია იძლევა ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის SMS -ით გაგზავნის შესაძლებლობას.</p>

- **ჩუმი განგაშის სიგნალი** - ხშირია შემთხვევები, როდესაც ზარის ინიციატორი ვერ ახერხებს „112“-ის ოპერატორთან კომუნიკაციას (მაგ: გატაცება, ოჯახური ძალადობა და სხვა.). ასეთ შემთხვევაში, „112“-ის ოპერატორი ინფორმირებულია იმოქმედოს სპეციალური პროცედურის დაცვით. ჩუმი განგაშის დილაკზე თითის დაჭერისას, მომხმარებელი ეკრანზე ხედავს კითხვას, ნამდვილად სურს თუ არა ფუნქციონალის გამოყენება. ამგვარად დგინდება შეტყობინების ინიციატორის ადგილმდებარეობა და იგზავნება „112“-ში.
- **ოპერატორთან მიმოწერა** - მობილურ აპლიკაციას აქვს „ჩათის“ ფუნქციონალი, რაც შეტყობინების ინიციატორს შესაძლებლობას აძლევს მიწეროს „112“-ის ოპერატორს, როდესაც ის ვერ ახერხებს საუბარს. მომხმარებელი უფლებამოსილია გაგზავნოს მისი ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი კოორდინატები. აპლიკაციას დაემატა Delivered და Not Delivered სტატუსები, რაც ატყობინებს მომხმარებელს მიუვიდა თუ არა შეტყობინება „112“-ის ოპერატორს.

2. შემუშავდა ტესტირების ფაზის პროცედურა და განისაზღვრა პროცესში სამოქალაქო ჩართულობის სტრატეგია

მობილური აპლიკაციის ტესტირებისთვის განისაზღვრა შემდეგი ძირითადი ეტაპები:

- **ალფა ტესტირება** - ამ ეტაპზე შემოწმდა მობილური აპლიკაციის ძირითადი ფუნქციონალის გამართული მუშაობა. ტესტირებაში „112“-ის დეველოპერებმა და IT სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.
- **ბეტა ტესტირება** - ალფა ტესტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ეცნობა „112“-ის ბიზნეს ანალიტიკოსს პროცესში ჩართულ დეველოპერებთან განხილვის მიზნით.
- **შემუშავდა ტესტირების ფაზაში სამოქალაქო ჩართულობის სტრატეგია** - განისაზღვრა სეგმენტი, რომელმაც დატესტა მობილური აპლიკაცია (როგორც ფუნქციონალი, ისე ინტერფეისი), დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიება და გაიწერა ტესტირების შედეგების მიღებისა და დამუშავების პროცედურა.

3. საზოგადოების ჩართულობით პროექტის ტესტირება

მობილური აპლიკაციის ტესტირებისთვის განისაზღვრა სამიზნე აუდიტორია. ტესტირების ფაზის საწყის ეტაპზე პროცესში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტები ჩაერთვნენ. მუდმივ რეჟიმში აპლიკაციის ტესტირების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე კომპონენტი, რაც საჭიროებს შეცვლას/სრულყოფას.

4. სტატისტიკა

112-ის მობილური აპლიკაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი გახდა 2018 წლის 1-ლი თებერვლიდან. აპლიკაციის ოფიციალურად გააქტიურების მომენტიდან (2018 წლის 1-ლი თებერვლიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით) აპლიკაციის ჩამოტვირთვების საერთო რაოდენობა შეადგენს **15254-ს**. ხოლო აპლიკაციის ფუნქციონალზე ისარგებლეს 999-ჯერ (SOS-312; ჩატი -687).

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2017			
სამომავლო გეგმები	პროექტის სრულად ამოქმედებამდე, პარალელურ რეჟიმში, ეტაპობრივად ხდება სსიპ - „112“-ის ოპერატორებისა და დისპეტჩერებისთვის ტრენინგების ჩატარება, რათა თითოეული ოპერატორი იყოს მზად, სრულფასოვნად მიიღოს და დაამუშაოს მობილური აპლიკაციიდან მიღებული შეტყობინებები. ამასთან, სტუდენტების ჩართულობით, აპლიკაციის ტესტირების შედეგად, გამოვლინდა, რომ რამდენიმე			

	<p>კომპონენტი საჭიროებს დახვეწას. აპლიკაციის სრულყოფის შემდეგ, მნიშვნელოვანია დაიწყო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა „112“-ის ახალი არხის ამოქმედების და მისი გამოყენების წესების შესახებ. დაგეგმილია:</p> <ul style="list-style-type: none"> - აპლიკაციის ამოქმედებასთან დაკავშირებით პრეზენტაციის ორგანიზება; - ვიდეო რგოლის დამზადება და განთავსება; - საიმიჯო რგოლის და ვიდეო ინსტრუქციების განთავსება და სოციალური ქსელში მათი პოპულარიზაცია; - სარეკლამო პლაკატების, ბანერების დაბეჭდვა და განთავსება; - სავაჭრო ცენტრებში და აეროპორტებში პოლოგრამის განთავსება აპლიკაციის ინსტრუქციით. <p>მობილური აპლიკაციის გახმოვანება მხდველობის არმქონე პირებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> - 112-თან დაკავშირების წყაროების ყველასთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დაიგეგმა აღნიშნული აპლიკაციის ადაპტირება მხედველობის არმქონე პირებისთვის. კერძოდ, აპლიკაციაში არსებული ნებისმიერი ფუნქციონალი გახმოვანდება და ადაპტირდება სამიზნე ჯგუფზე.
--	--

ვალდებულება 18: დანაშაულის პრევენციის მიზნით შექმნილი ადგილობრივი საბჭოების განვითარება

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>2016 წლიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო პროექტ „ადგილობრივი საბჭო“-ს განხორციელება, რომლის მიზანია შესაბამის უწყებებს შორის დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინაცია და ახალი ღონისძიებების ინიცირება. მოცემულ ეტაპზე დანაშაულის პრევენციით რამდენიმე სახელმწიფო უწყებაა დაკავებული. მნიშვნელოვანია მათ შორის კოორდინაციის გაზრდა, რათა თავიდან იქნას აცილებული სხვადასხვა უწყების მიერ ერთი და იმავე შინაარსის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>პროექტის ძირითადი მიზანია რეგიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის განხილვა, რეგიონისთვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ინიციატივების შემუშავება და სხვა სახელმწიფო უწყებებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული გეგმის დასახვა.</p> <p>ადგილობრივი საბჭოების განხორციელება პილოტურად დაიწყო აჭარის რეგიონში. ვალდებულების ფარგლებში, უახლოეს მომავალში ადგილობრივი საბჭოები ქვემო ქართლში, სამეგრელოში და მოგვიანებით კი საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეიქმნება.</p>				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს მთავარი პროკურატურა				
პარტნიორები	<table border="1"> <tr> <td style="background-color: #e6f2ff;">საჯარო დაწესებულება</td> <td>მუნიციპალიტეტების ორგანოები; პრობაციის ეროვნული სააგენტო; შინაგან საქმეთა სამინისტრო</td> </tr> <tr> <td style="background-color: #e6f2ff;">სამოქალაქო/კერძო სექტორი</td> <td>არასამთავრობო ორგანიზაციები</td> </tr> </table>	საჯარო დაწესებულება	მუნიციპალიტეტების ორგანოები; პრობაციის ეროვნული სააგენტო; შინაგან საქმეთა სამინისტრო	სამოქალაქო/კერძო სექტორი	არასამთავრობო ორგანიზაციები
საჯარო დაწესებულება	მუნიციპალიტეტების ორგანოები; პრობაციის ეროვნული სააგენტო; შინაგან საქმეთა სამინისტრო				
სამოქალაქო/კერძო სექტორი	არასამთავრობო ორგანიზაციები				
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	უსაფრთხო გარემოს შექმნა				
მთავარი მიზანი	დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინაციის გაზრდა და ამ სფეროში არსებული სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის ძალისხმევით გაერთიანება; ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პრევენციული ღონისძიებების ინიცირება				
ინდიკატორი	ექვს რეგიონში ადგილობრივი საბჭო შექმნილია; ადგილობრივი საბჭოების მიერ ჩატარებული მინიმუმ 10 სხდომა				

<p>მიღწეული შედეგები</p>	<p>„ადგილობრივი საბჭოს“ პროექტის შესახებ პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს ყველა რეგიონში (16 ტერიტორიულ ერთეულში¹⁴).</p> <p>2016 წელს ადგილობრივი საბჭოს სხდომები ჩატარდა: ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, ახალციხეში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, ხელვაჩაურში, თელავში, ახალქალაქში, გურჯაანში, სიღნაღში, გორში. შეხვედრებზე განხილულ იქნა ადგილობრივი საბჭოს ფუნქციები და მიზნები. მონაწილეებს წარედგინათ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მომზადებული კვლევები ოჯახში ძალადობასთან და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 140-ე მუხლთან დაკავშირებით (16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირი). დამსწრე პირებმა იმსჯელეს რეგიონში გავრცელებული დანაშაულების გამომწვევ მიზეზებზე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გააქტიურებაზე და დაგეგმეს პრევენციული ღონისძიებები.</p> <p>საბჭოს ფარგლებში რაიონებში არაერთი პრევენციული ღონისძიება გაიმართა (მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებთან), რომელშიც სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლების გარდა აქტიურად იყვნენ ჩართულები არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც.</p> <p>2017 წელს გაიმართა ადგილობრივი საბჭოს 14 სხდომა: ქუთაისში (2 სხდომა), მცხეთაში, სამტრედიისში, თბილისში (6 სხდომა რაიონების მიხედვით), თელავში, რუსთავში, გორში, ზუგდიდში.</p> <p>თბილისში გამართულ სხდომებზე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, განხილულ იქნა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები, ხოლო სხვა სხდომებზე - ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები.</p> <p>ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ მომზადდა წლიური ანგარიში, რომელიც 2017 წლის 28 დეკემბერს წარედგინა საკონსულტაციო საბჭოს.</p>										
<p>შესრულების შეფასება</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>სრულად შესრულდა</th> <th>უმეტესწილად შესრულდა</th> <th>ნაწილობრივ შესრულდა</th> <th>არ შესრულდა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ვალდებულების შეფასება</td> <td>x</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	ვალდებულების შეფასება	x			
	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა							
ვალდებულების შეფასება	x										
<p>დასრულების თარიღი</p>	<p>დეკემბერი, 2017</p>										
<p>სამომავლო გეგმები</p>	<p>„ადგილობრივი საბჭოს“ პროექტის პრეზენტაციები დაგეგმილია სამტრედიისა და თბილისში.</p>										

<p>ვალდებულება 19: ეკონომიკური აგენტებისათვის გზამკვლევის შემუშავება</p>	
<p>ვალდებულების მოკლე აღწერა</p>	<p>ეკონომიკურ აგენტებს, რომლებიც მხოლოდ კონკურენციის კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით ხელმძღვანელობენ, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია კონკურენციის კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე. ამასთან, საზოგადოება არ ფლობს საკმარის ინფორმაციას ახლადშექმნილი კონკურენციის სააგენტოს შესახებ. აუცილებელია, არსებობდეს კომუნიკაცია მაკონტროლებელ ორგანოსა და შესაბამის ბიზნეს სუბიექტს შორის, რათა</p>

¹⁴ ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ხელვაჩაური, თელავი, ახალქალაქი, გურჯაანი, ყვარელი, გორი, ქუთაისი, მცხეთა

		<p>ეკონომიკური აგენტი ინფორმირებული იყოს იმ ვალდებულებების შესახებ, რომელსაც მას კონკურენციის კანონმდებლობა აკისრებს.</p> <p>კონკურენციის სააგენტო შეიმუშავებს გზამკვლევეს/ბროშურებს, რომელთა ძირითადი თემატიკა კონკურენციის კანონის პრობლემატური და აქტუალური საკითხები და სააგენტოს ძირითადი სამოქმედო პრინციპები იქნება. გზამკვლევი გავრცელდება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, კონკურენციის საკითხებზე ბიზნესისა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით.</p>
წამყვანი დაწესებულება		სსიპ - კონკურენციის სააგენტო
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან		კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება; საჯარო სერვისების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი		ეკონომიკური აგენტების ცნობიერების ამაღლება და კონკურენციის შესახებ კანონის აღსრულების პროცესის გამარტივება.
ინდიკატორი		გზამკვლევი შემუშავებული და გავრცელებულია
მიღწეული შედეგები		<p>სააგენტოში გზამკვლევეზე მუშაობა 2016 წლის დეკემბრიდან დაიწყო. პირველადი ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ გზამკვლევეში გამოყენებული ყოფილიყო ევროკავშირში კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოების - ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა. აღნიშნულს საფუძველად დაედო ის ფაქტი, რომ ქართული კონკურენციის კანონმდებლობა შემუშავებულია ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობის საფუძველზე და შინაარსობრივად გავს მას. ყურადღება გამახვილდა საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით დარეგულირებული ქმედებების სამ ძირითად კატეგორიაზე - კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებზე, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და კონცენტრაციებზე.</p> <p>გზამკვლევის ტექსტზე მუშაობა 2017 წლის მარტის შუა რიცხვებში დასრულდა, რის შემდეგაც ტექსტი ითარგმნა ინგლისურად და გასაანალიზებლად გადაეგზავნა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში საქართველოში მუდმივად მყოფ ექსპერტთა ჯგუფს. თარგმანი ასევე გაიგზავნა საქართველოში ევროკავშირის ოფიციალურ წარმომადგენლობასთან. ექსპერტთა მიერ გზამკვლევის შეფასება დასრულდა 2017 წლის აპრილის ბოლოს და მიღებული იქნა პოზიტიური კომენტარები. შედეგად, 2017 წლის პირველ მთვეში, სააგენტოს თავმჯდომარემ გზამკვლევი ბრძანებით დაამტკიცა. გზამკვლევი სააგენტოს ვებ გვერდზე განთავსდა¹⁵ და დაიწყო მისი აქტიური პოპულარიზაცია სააგენტოს მიერ ორგანიზებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ფარგლებში. 2017 წლის ივნისში გზამკვლევი გამოიცა ბეჭდური სახითაც.</p> <p>გზამკვლევის ბეჭდური სახით გამოცემის შემდგომ, გაიმართა 5 ღონისძიება, რომელიც გზამკვლევეში ასახული ინფორმაციის გავრცელებასა და კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. ხსენებულ ღონისძიებებზე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცათ, დეტალურად გასცნობოდნენ გზამკვლევეში ასახულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, კონკურენციის სფეროში არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს. ღონისძიებების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, კითხვა-პასუხის ფორმატში მიეღო ამომწურავი ინფორმაცია მისთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე, რაც თავის მხრივ, კონკურენციის ადვოკატირებისა და დარღვევათა პრევენციის მიზანს ემსახურება.</p>

¹⁵ ხელმისაწვდომია [აქ](#).

	2017 წლის ნოემბერში გაიმართა პირველი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია, სახელწოდებით - „კონკურენციის პოლიტიკა: თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები“. კონფერენციაზე მოწვეულნი იყვნენ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებიც, რომელთაც საშუალება ჰქონდათ, ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ ევროპის ქვეყნების კონკურენციის უწყებათა წარმომადგენლებისგან მიეღოთ.				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2017				
სამომავლო გეგმები					

ვალდებულება 20: კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავება და დანერგვა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უზრუნველყოფს კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას.</p> <p>კომისიის უმთავრესი გამოწვევა კომერციული მომსახურების ხარისხის შესრულების მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება და მისი რეგულირებაა. აღნიშნულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მომხმარებელთა ინფორმირება როგორც მათი, ისე საწარმოების უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საწარმოთა ანგარიშვალდებულების გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მომხმარებელთა უფლებების შეუფერხებელ განხორციელებას.</p>
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საჯარო სერვისების გაუმჯობესება
მთავარი მიზანი	მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით კომერციული მომსახურების ხარისხის დადგენილი სტანდარტების დანერგვა, შესაძლო დარღვევების პრევენცია, კომერციული ხარისხის ახალი სტანდარტებისა და კრიტერიუმების დანერგვის ხელშეწყობა.
ინდიკატორი	კომერციული მომსახურების ხარისხის კონტროლის პროგრამა შემუშავებული და დანერგილია
მიღწეული შედეგები	<p>კომისიის 2016 წლის 25 ივლისის N13 დადგენილებით დამტკიცდა „მომსახურების კომერციული ხარისხის წესები“ (წესები). აღნიშნული ნორმატიული აქტის მიზანია საწარმოს მიერ მომხმარებლისათვის გაწეული მომსახურების კომერციული ხარისხის გაუმჯობესება კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტების შესრულების გზით.</p> <p>დადგენილებამ რეგულირებად საწარმოებს დააკისრა ვალდებულება, ნებისმიერი ინფორმაცია მომსახურების კომერციული ხარისხის თაობაზე აღრიცხოს კომისიის აპარატის მიერ შექმნილი ელექტრონული ჟურნალების წარმოების პროგრამით, რომელიც თავის მხრივ კომისიას საშუალებას აძლევს, მუდმივად ადევნოს თვალი რეგულირებადი საწარმოს მიერ მომხმარებლის განცხადებაზე რეაგირების განხორციელების პროცესს, რის შედეგადაც კომისია ახორციელებს საწარმოს მიერ წესებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის კონტროლს. კომპანიის მიერ წესებით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან</p>

	<p>არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პროგრამა ავტომატურად ახორციელებს იმ კომპენსაციის გამოთვლას, რომლის მომხმარებლისათვის გადახდის ვალდებულებაც კომპანიას ეკისრება ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების შედეგად. ამასთან, დადგენილება ითვალისწინებს პროგრამის ამოქმედებისა და დატვირთვის განსხვავებულ ვადებს.</p> <p>2016 წლის 7 ივლისს დამტკიცდა ერთიანი ანგარიშებისა და ჟურნალის ფორმები წყალმომარაგების ლიცენზიანტებისთვის, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებისთვის, ბუნებრივი გაზის განაწილებისა და ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტებისთვის. პროგრამა სატესტო რეჟიმში 2017 წლის იანვრიდან დაიწყო. აღნიშნულ პერიოდში პროგრამა ფუნქციონირებდა სრულად, გარდა საწარმოებისათვის კომპენსაციის გამოთვლის ფუნქციისა.</p> <p>პროგრამის დანერგვამდე დაიგეგმა და გაიმართა შეხვედრები საწარმოების წარმომადგენლებთან. მათ წარმოადგინეს საწარმოების საჭიროებები და წინადადებები, რომლებიც პროგრამის შემუშავების დროს იქნა გათვალისწინებული.</p> <p>2017 წლის 1 ივლისიდან პროგრამა სრული დატვირთვით ფუნქციონირებს, თუმცა, მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა მისი დახვეწისა და სრულყოფის მიზნით.</p>										
შესრულების შეფასება	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>სრულად შესრულდა</th> <th>უმეტესწილად შესრულდა</th> <th>ნაწილობრივ შესრულდა</th> <th>არ შესრულდა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ვალდებულების შეფასება</td> <td>x</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	ვალდებულების შეფასება	x			
	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა							
ვალდებულების შეფასება	x										
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2017										
სამომავლო გეგმები	განხორციელების პროცესი დასრულებულია										

ვალდებულება 21: კომპანიების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა					
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>მოცემული ვალდებულების ფარგლებში საწარმოების მიერ ანგარიშების ელექტრონულად წარმოდგენა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას საშუალებას მისცემს, შექმნას სანდო და სრულყოფილი მონაცემთა ბაზა, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის მრავალმხრივი ანალიზი, თვალყური ადევნოს საწარმოების საქმიანობის მაჩვენებლების დინამიკას, განახორციელოს სალიცენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი და უმოკლეს დროში უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეებისთვის სისტემატიზებული ინფორმაციის მიწოდება. ელექტრონული ფორმით ანგარიშის წარმოდგენის სისტემის დანერგვა აგრეთვე ხელს შეუწყობს როგორც კომპანიების, ისე კომისიის ადმინისტრაციული რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.</p> <p>ვალდებულების მიზანია საწარმოების მიერ ანგარიშის წარმოდგენის სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნა აღნიშნული პროცესის მობილურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.</p>				
წამყვანი დაწესებულება	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია				
პარტნიორები	<table border="1"> <tr> <td>საჯარო დაწესებულება</td> <td></td> </tr> <tr> <td>სამოქალაქო/კერძო სექტორი</td> <td></td> </tr> </table>	საჯარო დაწესებულება		სამოქალაქო/კერძო სექტორი	
საჯარო დაწესებულება					
სამოქალაქო/კერძო სექტორი					
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება				
მთავარი მიზანი	საწარმოების მიერ ანგარიშების წარმოდგენის ისეთი ფორმისა და სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს კომისიისათვის სრული და ამომწურავი				

	ინფორმაციის წარდგენას ელექტრონულად, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.				
ინდიკატორი	კომპანიების მიერ ანგარიშგების ელექტრონული პროგრამა შემუშავებულია				
მიღწეული შედეგები	<p>პროგრამა დაინერგა 2017 წლის იანვრიდან და ფუნქციონირებდა 2017 წლის 15 თებერვლამდე. ამ პერიოდში საწარმოების მიერ საპილოტე რეჟიმში განხორციელდა 2016 წლის მე-4 კვარტალის ანგარიშგების ფორმების შევსება. პროგრამის ამოქმედებამდე საწარმოებს ეცნობათ ელექტრონული ანგარიშგების ვალდებულების თაობაზე.</p> <p>პროგრამა საბოლოო სახით დაინერგა 2017 წლის თებერვლიდან. 2017 წლის 1 აპრილიდან საწარმოებმა დაიწყეს ელექტრონული ანგარიშგება (კვარტალური და წლიური ანგარიშგების ფორმების წარმოდგენა). ამჟამად პროგრამა სრული დატვირთვით მუშაობს, თუმცა, მუდმივად მიმდინარეობს მისი დახვეწისა და სრულყოფის პროცესი.</p>				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი					
სამომავლო გეგმები	კომპანიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების შესწავლისა და მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციის შედეგად, განხორციელდება რეგულირებადი საწარმოების საქმიანობის, მათ შორის, კომისიის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულების, შედეგების შეფასება. დამუშავდება ინფორმაცია და მომზადდება რეკომენდაციები საწარმოების საქმიანობის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. ასევე, მომხმარებლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი უფლებებისა და საწარმოების ვალდებულებების შესახებ.				

მუნიციპალიტეტების ორგანოები

გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება

ვალდებულება 22: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე პეტიციების ელექტრონული პორტალისა და „ზუგდიდი-INFO“-ს დაწერვა		
ვალდებულების მოკლე აღწერა	<ol style="list-style-type: none"> 1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდის www.zugdidi.gov.ge-ს მეშვეობით შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენა; 2. საინფორმაციო ცენტრის „ზუგდიდი-INFO“-ს მეშვეობით, მოქალაქეები მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით მიიღებენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროექტების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ. ამავე მეთოდით მოსახლეობა იღებს ინფორმაციას საკრებულოს სხდომების ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ. 	
წამყვანი დაწესებულება	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესი მართვა	

მთავარი მიზანი	მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებით მოქალაქეებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება, რათა მონაწილეობის ხარისხი გაუმჯობესდეს.				
ინდიკატორი	პეტიციების ელექტრონული პორტალი დანერგილია; „ზუგდიდი-INFO“ დანერგილია				
მიღწეული შედეგები	<p>1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის N39 დადგენილებით საკრებულომ დაამტკიცა საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკი, პეტიციის ფორმა (პეტიციის წარმდგენის (განხილვის) თაობაზე წარსადგენი განცხადება) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობა.¹⁶</p> <p>ამჟამად პეტიციის წარდგენა მხოლოდ წერილობითი ფორმით არის შესაძლებელი, თუმცა, წარდგენილი პეტიციები ხელმისაწვდომია საკრებულოს ვებ გვერდზე.¹⁷ მიმდინარეობს ვებ გვერდის ტექნიკურად მოწმობა, რათა შესაძლებელი გახდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში პეტიციების ელექტრონული ფორმით წარდგენა.</p> <p>2. საინფორმაციო ცენტრის „ზუგდიდი-INFO“-ს მეშვეობით მოქალაქეები დროულად და ეფექტური საშუალებით იღებენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ. პროექტი ხელს უწყობს მოსახლეობის ჩართულობის გაუმჯობესებასაც. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, „ზუგდიდი-INFO“-ს მეშვეობით მოსახლეობა მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმატით იღებს ინფორმაციას ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროექტების, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შესახებ. ამავე მეთოდით, მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია საკრებულოს სხდომებისა და მუნიციპალიტეტების მიერ ორგანიზებული საჯარო შეხვედრების შესახებ.</p>				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2018				
სამომავლო გეგმები	პეტიციების ელექტრონულად მიღებისთვის საკრებულოს ვებ გვერდის ტექნიკურად გამართვის სამუშაოების დასრულება. ელ-პეტიციის დანერგვა 2018 წლის დეკემბრის ბოლოს იგეგმება.				

ვალდებულება 23: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხდომების გამჭვირვალობა

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე საკრებულოს სხდომებისა და ანგარიშგების პროცესის პირდაპირ ტრანსლირებას; - მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემის დანერგვას; - ელექტრონული გამოკითხვების სისტემის დანერგვას; - საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრების შექმნას; - პირდაპირი ტრანსლაციისა და სხდომების ვიდეო ჩანაწერის საკრებულოს ვებ გვერდზე განთავსებას. 				
წამყვანი დაწესებულება	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/				

¹⁶ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [დადგენილება](#) №39; პეტიციის (ტიპური) [ფორმა](#).

¹⁷ დღემდე საკრებულოში წარდგენილია [3 პეტიცია](#).

	კერძო სექტორი				
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება; საჯარო რესურსების უკეთესად მართვა				
მთავარი მიზანი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ელექტრონული მმართველობის დანერგვა; მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება; ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება; გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის მექანიზმის განმტკიცება.				
ინდიკატორი	საკრებულოს სხდომები პირდაპირ გადაიცემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე http://ozurgeti.mun.gov.ge/ge/live , აგრეთვე https://livestream.com/ ; სხდომების სრული ვიდეოჩანაწერები განთავსებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://ozurgeti.mun.gov.ge/ge/pages/view/video				
მიღწეული შედეგები	<ul style="list-style-type: none"> - უზრუნველყოფილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია და მათი სრული ვიდეო ჩანაწერის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განთავსება;¹⁸ - პირდაპირი ტრანსლაციების დროს საკრებულოს აპარატის ვებ გვერდზე ქვეყნდება მოქალაქეების შეკითხვები და კომენტარები. შემოსული კომენტარები აისახება წლიურ ანგარიშში;¹⁹ - ჩამოყალიბდა ინტერესთა ჯგუფები (სახელმწიფო, კერძო პირები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები), რომელთა თითოეულ წევრთან გაფორმდა ანკეტა-მემორანდუმი მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების შესახებ;²⁰ - მოსახლეობას ელ-ფოსტითა და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ეგზავნება ინფორმაცია საკრებულოს სხდომებისა და არსებული მომსახურების შესახებ; შეიქმნა დაინტერესებული პირების მონაცემთა ბაზა და მასში აღრიცხულ პირებს, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, ეგზავნებათ ინფორმაცია მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე; - მოსახლეობის პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით, დაინერგა ელექტრონული გამოკითხვები;²¹ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციული ერთეულიდან 5 სოფელში შეიქმნა და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით აღიჭურვა საზოგადოების ჩართულობის ცენტრები, დანარჩენ სოფლებში საზოგადოებრივი ცენტრების ჩამოყალიბებისა და მათი თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვისათვის საჭიროა დონორი ორგანიზაციების დახმარება. 				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2018				
სამომავლო გეგმები					

ვალდებულება 24 (ა): ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა

¹⁸ ვიდეო-არქივი ხელმისაწვდომია [აქ](#).

¹⁹ პირდაპირი [ტრანსლაცია](#); საკრებულოს წევრთა [ანგარიშები](#); საკრებულოს [წლიური ანგარიშები](#).

²⁰ შეთანხმების [ანკეტა-მემორანდუმი](#); საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის [ფორმა](#).

²¹ ელექტრონული გამოკითხვის [ფორმა](#).

<p>ვალდებულების მოკლე აღწერა</p>	<p>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის საკითხებზე. USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა.</p> <p>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.</p>
<p>წამყვანი დაწესებულება</p>	<p>ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია</p>
<p>პარტნიორები</p>	<p>საჯარო დაწესებულება სამოქალაქო/კერძო სექტორი</p> <p>USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში; ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები</p>
<p>შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან</p>	<p>საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება</p>
<p>მთავარი მიზანი</p>	<p>საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ბიუჯეტის პროექტის განხილვებში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესება</p>
<p>ინდიკატორი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემუშავებულია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით; შეიქმნა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ვებგვერდს დაემატა „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ ელექტრონული მექანიზმი; შემუშავდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.</p>
<p>მიღწეული შედეგები</p>	<p>USAID-ის პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით, ქუთაისის მერიამ შეიმუშავა ქალაქის ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით. ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა მოქალაქეთა მიერ დაფიქსირებული პრიორიტეტები, მაგალითად, გზების შეკეთებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის შესახებ. 2017 წლის თებერვალში შემუშავდა ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი. გზამკვლევაში აღწერილია ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის შემოსავლები, დანახარჯები და საჯარო სერვისები. გზამკვლევი დაიბეჭდა ბუკლეტის სახით და გავრცელდა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფში.</p> <p>USAID GGI-სა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელებული საგრანტო პროექტის ფარგლებში ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიისა (e-GA) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დახმარებით შეიქმნა ქალაქ ქუთაისის მერიისა და საკრებულოს ახალი ვებ გვერდი (http://kutaisi.gov.ge/), რომელშიც ჩაშენებულია ელექტრონული გამჭვირვალობისა და მონაწილეობისთვის საჭირო მექანიზმები, მათ შორის „დაგეგმე ბიუჯეტის“ პორტალი.</p> <p>გარდა ამისა, 2018 წლიდან, ამოქმედდა მოქალაქეთა წინადადებების მიღების ელექტრონული სისტემა: volis.kutaisi.gov.ge; ელექტრონული პლატფორმა, რომელიც USAID-ის პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით მიიღო ქალაქმა. მუშაობს საპილოტე რეჟიმში. მოქალაქეებს განესაზღვრათ ვადა 2018 წლის 20 სექტემბრამდე საკუთარი წინადადებების წარდგენის მიზნით. დღეის მდგომარეობით დაფიქსირებულია 28 ინიციატივა. აღნიშნული ინიციატივების გადარჩევას განახორციელებს მერის საკონსულტაციო ორგანო–მრჩეველთა საბჭო. საბჭოს მიერ გადარჩეული 3 წინადადებიდან, 1 წინადადება, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებს იქნება დაფინანსებული 2019 წლის ბიუჯეტით.</p> <p>ასევე 2018 წლიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ინიცირებული იქნა ახალგაზრდული ინიციატივების პროგრამა, რაც მონაწილეობითი ბიუჯეტების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. დაინტერესებულ ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, მთელი წლის განმავლობაში, პერიოდულად</p>

	წარმოადგინონ თავიანთი პროექტები და მიიღონ მათთვის დაფინანსება. პროგრამის ჯამური ღირებულებაა 100 000 ლარი;				
შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება	x			
დასრულების თარიღი	ივნისი, 2018				
სამომავლო გეგმები					

ვალდებულება 24 (ბ): ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა

ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის საკითხებზე. USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა.</p> <p>ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.</p>				
წამყვანი დაწესებულება	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია				
პარტნიორები	საჯარო დაწესებულება				
	სამოქალაქო/კერძო სექტორი	USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში; ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება				
მთავარი მიზანი	საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ბიუჯეტის პროექტის განხილვებში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესება				
ინდიკატორი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემუშავებულია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით; შეიქმნა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ვებგვერდს დაემატა „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ ელექტრონული მექანიზმი; შემუშავდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.				
მიღწეული შედეგები	<p>USAID-ის პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით, ბათუმის მერიამ შეიმუშავა ქალაქის ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით. ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საჯარო კონსულტაციების დროს მოქალაქეთა მიერ დაფიქსირებული პრიორიტეტები. 2018 წლის მარტში შემუშავდა ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი. გზამკვლევი აღწერილია ქალაქ ბათუმის ბიუჯეტის შემოსავლები, დანახარჯები და საჯარო სერვისები. გზამკვლევი დაიბეჭდა ბუკლეტის სახით და გავრცელდა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფში. გზამკვლევის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე. მონაწილეობითი ბიუჯეტების ინსტიტუციური მექანიზმის დანერგვის მიზნით მომზადებულია შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო.</p> <p>ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნა (http://idea.batumi.ge), ასევე, USAID GGI-ის პროექტის მხარდაჭერით შემუშავებულ იქნა მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესი (დამტკიცდება ბრძანების სახით) შესახებ. გარდა ამისა, შემუშავდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.</p>				

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
შესრულების შეფასება	ვალდებულების შეფასება		x		
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2018				
სამომავლო გეგმები	<p>USAID GGI-სა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, რომელიც განახორციელა ესტონეთის “e-Governance აკადემიამ” ადგილობრივ პარტნიორთან, IDFI-სთან ერთად შეიქმნა ქალაქ ბათუმის მერიისა ახალი ვებ გვერდი, რომელშიც ჩამენებულია პორტალი „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ (http://idfi-batumi.omedialab.com/ge) ვებ გვერდი ჯერ არ არის გაშვებული.</p> <p>მონაწილეობითი ბიუჯეტირების სისტემის პოპულარიზაცია/მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის დროს გამოვლენილი პროექტის/პროექტების განსახორციელებლად.</p>				

ვალდებულება 24 (გ): ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის საკითხებზე. USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესებაზე მიმდინარეობს მუშაობა.</p> <p>ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.</p>
წამყვანი დაწესებულება	ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია
პარტნიორები	<p>საჯარო დაწესებულება</p> <p>სამოქალაქო/კერძო სექტორი</p> <p>USAID-ის პროექტის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში; ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები</p>
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება
მთავარი მიზანი	საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ბიუჯეტის პროექტის განხილვებში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესება.
ინდიკატორი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემუშავებულია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით; შეიქმნა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ვებგვერდს დამატა „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ ელექტრონული მექანიზმი; შემუშავდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.
მიღწეული შედეგები	USAID-ის პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით, ახალციხის მერიამ შეიმუშავა ქალაქის ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით. ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საჯარო კონსულტაციების დროს მოქალაქეთა მიერ დაფიქსირებული პრიორიტეტები. 2017 წლის თებერვალში შემუშავდა ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი. გზამკვლევი აღწერილია ქალაქ ახალციხის ბიუჯეტის შემოსავლები, დანახარჯები და საჯარო სერვისები. გზამკვლევი დაიბეჭდა ბუკლეტის სახით და გავრცელდა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფში.

	<p>USAID GGI-სა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელებული საგრანტო პროექტის ფარგლებში ესტონეთის ელექტრონული მმართველობის აკადემიისა (e-GA) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დახმარებით შეიქმნა ქალაქ ახალციხის მერიისა და საკრებულოს ახალი ვებ გვერდი (https://www.akhaltsikhe.gov.ge/), რომელშიც ჩამოწმებულია ელექტრონული გამჭვირვალობისა და მონაწილეობისთვის საჭირო მექანიზმები, მათ შორის „დაგეგმე ბიუჯეტის“ პორტალი.</p> <p>ამას გარდა, ზემოხსენებული საგრანტო პროექტის ფარგლებში, ახალციხის მერიამ დანერგა მოქალაქეთა მონაწილეობითი პლატფორმის ესტონური მოდელი - VOLIS-ი. VOLIS-ი ახალციხის ხელისუფლებას გადაწყვეტილების სწრაფად და ნაკლები ფინანსური რესურსით მიღებაში ეხმარება. ამავდროულად VOLIS-ი ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლების აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობების იძლევა.</p> <p>ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან ახალციხის მერიამ მონაწილეობით ბიუჯეტირების სისტემის ინსტიტუციონალიზაცია მოახდინა. 2018 წლის იანვრის ბოლოს გამოიცა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანება, ხოლო თებერვალ-მაისის პერიოდში განხორციელდა წინადადებების მიღება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან VOLIS-ის მეშვეობით. VOLIS-ის პლატფორმაზე ადგილობრივმა მოსახლეობამ დაარეგისტრირა 78 წინადადება, რომლიდანაც 40-მა დააკმაყოფილა კრიტერიუმები და გადავიდა ხმის მიცემის რეჟიმში (https://volis.ega.ee/gvolis/osale/index/81?kid=35494). 2018 წლის მაისი-სექტემბრის განმავლობაში ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა ჰქონდა როგორც ელექტრონულად (VOLIS-ის მეშვეობით) ასევე მექანიკურად ხმა მიეცათ სასურველი წინადადებისთვის. ხმის მიცემის პროცესის შედეგად ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გამოავლინა გამარჯვებული პროექტი რომლის განსახორციელებლად ქალაქ ახალციხის მერია 2019 წლის ბიუჯეტიდან 50 000 ლარს გამოყოფს.</p>										
შესრულების შეფასება	<table border="1"> <thead> <tr> <th></th> <th>სრულად შესრულდა</th> <th>უმეტესწილად შესრულდა</th> <th>ნაწილობრივ შესრულდა</th> <th>არ შესრულდა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ვალდებულების შეფასება</td> <td>x</td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </tbody> </table>		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	ვალდებულების შეფასება	x			
	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა							
ვალდებულების შეფასება	x										
დასრულების თარიღი	ივნისი, 2018										
სამომავლო გეგმები	<p>ქალაქ ახალციხის მერია აგრძელებს აქტიურ ჩართულობას ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესში. შესაბამისად ახალციხის მერია საქართველოს 2018-2019 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმის ფარგლებში ახალი ვალდებულებებით იქნება წარმოდგენილი.</p>										


ვალდებულება 24 (დ): ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების დაგეგმვის ელექტრონული მექანიზმის შექმნა	
ვალდებულების მოკლე აღწერა	<p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი სამსახურები აქტიურად მუშაობენ საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის საკითხებზე. მიმდინარეობს მუშაობა ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესების განმტკიცებასა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესებაზე.</p> <p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უზრუნველყოფს ელექტრონული მექანიზმის „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“ შექმნასა და შესაბამის ვებგვერდებზე დამატებას. გარდა ამისა, შემუშავდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.</p>
წამყვანი დაწესებულება	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

პარტნიორები	საჯარო დაწესებულება			
	სამოქალაქო/კერძო სექტორი			
შესაბამისობა OGP-ის გამოწვევებთან	საჯარო რესურსების უკეთესი მართვა; საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება			
მთავარი მიზანი	საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; ბიუჯეტის პროექტის განხილვებში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემუშავებულია პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით; შეიქმნა და მუნიციპალიტეტის შესაბამის ვებგვერდს დაემატა „დაგეგმე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის“ ელექტრონული მექანიზმი; შემუშავდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოქალაქის გზამკვლევი.			
მიღწეული შედეგები	ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ქალაქის ბიუჯეტი პროგრამული ფორმატით. აღნიშნული საკრებულომ 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებით დაამტკიცა. ²² პროგრამული ბიუჯეტის სრული ვერსია გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე. ²³ ბიუჯეტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საჯარო კონსულტაციების დროს მოქალაქეთა მიერ დაფიქსირებული პრიორიტეტები. 2017 წლის თებერვალში შემუშავდა ბიუჯეტის შესახებ მოქალაქის გზამკვლევი. გზამკვლევი აღწერილია ოზურგეთის ბიუჯეტის შემოსავლები, დანახარჯები და საჯარო სერვისები. გზამკვლევი დაიბეჭდა ბუკლეტის სახით და გავრცელდა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფში.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	ვალდებულების შეფასება			x
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2018			
სამომავლო გეგმები				

²² „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 [დადგენილება](#).

²³ ოზურგეთის [მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი](#).

შემაჯამებელი მონაცემები



სამოქმედო გეგმა აერთიანებს 24 ვალდებულებას, რომელთაგან 1 ვალდებულება (ვალდებულება N 24) დაყოფილია „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ნაწილებად. მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის, აღნიშნული ნაწილები ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ ვალდებულებებად განიხილება, შესაბამისად, შეფასების ჯამური მაჩვენებელი მოიცავს 27 ვალდებულებას.